როგორ მუშაობს „ქართული ოცნების“ პარლამენტი?

2024 წლის ნოემბერი - 2026 წლის ივლისის პერიოდში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესების შეფასება

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

როგორ მუშაობს „ქართული ოცნების“ პარლამენტი?

2024 წლის ნოემბერი - 2026 წლის ივლისის პერიოდში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესების შეფასება

2026

სარჩევი

შესავალი *4*

მეთოლოგია *4*

საპარლამენტო საქმიანობა რიცხვებში - ძირითადი მიგნებების მოკლე მიმოხილვა *5*

კანონშემოქმედება დელიბერაციის და დასაბუთების გარეშე *11*

ძალაუფლების შენარჩუნება, როგორც კანონმდებლის მთავარი მიზანი *14*

უფლებების შეზღუდვა საჯარო სივრცის კრიტიკისგან დაცლის მიზნით **14**

უფლებების შეზღუდვა პროპაგანტისტული მიზნებით **23**

სხვა უფლებრივი შეზღუდვები **25**

ძალაუფლების აღმასრულებელ შტოში კონცენტრაცია **26**

აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების ზრდა პარლამენტის ხარჯზე 26

სასამართლო კლანის გაძლიერება **27**

აღმასრულებელ ხელისუფლების შიგნით ძალაუფლების ცენტრალიზება **28**

პროკურატურა 28

იურიდიული დახმარების სამსახური 28

სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) 28

დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტები 28

საჯარო სამსახური 29

სხვა ფუნქციების მთავრობაში/სამინისტროებში ინტეგრირება/დაბრუნება 29

საარჩევნო სისტემა 29

პერსონალური სარგებელი და კლიენტელიზმი **31**

პოზიტიური დღის წესრიგის გაქრობა *33*

რეგულაციების/რეფორმების გადადება **33**

საჯარო შესყიდვები და კორუფციასთან ბრძოლა 33

გარემო და სამოქალაქო უსაფრთხოება 33

ჯანდაცვა 34

დაგეგმარება/მშენებლობა 34

განათლება 35

რეგიონალური პოლიტიკა 35

სოფლის მეურნეობა 35

ტურიზმი 35

ბავშვთა უფლებები 36

პატიმართა უფლებები 36

სახელმწიფო ინსტიტუტების გაუქმება ალტერნატივის გარეშე 36
კანონის ახალი "ფორმები" 36
თეორიული ჩარჩო.....37
შეჯამება.....38

შესავალი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტის საქმიანობა არსებითად შეიცვალა. არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული პოლიტიკური კრიზისის, მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტის, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის მიერ საპარლამენტო ბოიკოტისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის შეჩერების ფონზე, მე-11 მოწვევის პარლამენტმა საქმიანობა პრაქტიკულად ერთპარტიული შემადგენლობით განაგრძო. ამ გარემოებებმა, ჯამში, მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც პარლამენტის პოლიტიკური ფუნქცია, ისე მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხასიათი.

2024 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში პარლამენტმა 300-მდე საკანონმდებლო ინიციატივა/პაკეტი მიიღო, რომელთა უმეტესობა შინაარსობრივი განხილვის გარეშე, დაჩქარებულად იყო მიღებული და უარყოფითი, რიგ შემთხვევაში კი დამანგრეველი გავლენა მოახდინა ადამიანის უფლებების დაცვის, სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიული ფუნქციონირებისა და ურთიერთკონტროლის და ზოგადად ქვეყანაში პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტზე. ამავე პერიოდში, როდესაც რეგრესული ცვლილებები განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა, საკანონმდებლო საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართული იყო მანამდე დაგეგმილი რეფორმების/პოლიტიკების გადავადებისა და მოქმედი ინსტიტუტების ალტერნატივის გარეშე გაუქმებისკენ.

წინამდებარე დოკუმენტი აფასებს, რა იყო მე-11 მოწვევის პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და რა საერთო ტენდენციები გამოიკვეთა მიღებული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად. დოკუმენტი აერთიანებს პარლამენტის საქმიანობის რაოდენობრივ და შინაარსობრივ შეფასებას და ცდილობს აჩვენოს, რომ სხვადასხვა სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ერთიანი პოლიტიკურ-სამართლებრივი ლოგიკის ნაწილია, რომელსაც სულ უფრო ნაკლები საერთო აქვს საქართველოს კონსტიტუციის სულიკვეთებასთან და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან, და საპირისპიროდ, ძალაუფლების კონცენტრაციას ემსახურება.

მეთოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი აჯამებს საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 2024 წლის 25 ნოემბრიდან 2026 წლის 26 ივნისის ჩათვლით. აღნიშნული თარიღი შერჩეულია იმის გათვალისწინებით, რომ 2026 წლის საგაზაფხულო სესია სწორედ 26 ივნისს დასრულდა, ხოლო ანგარიშის მომზადების მომენტისთვის პარლამენტს რიგგარეშე სესია არ მოუწვევია.

დოკუმენტი ეფუძნება როგორც რაოდენობრივი, ისე შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს. რაოდენობრივი ანალიზი მოიცავს პარლამენტის საქმიანობის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების შეფასებას, მათ შორის, მიღებული საკანონმდებლო ინიციატივების რაოდენობას, მასში აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივების წილს, ასევე საკანონმდებლო პროცესის პროცედურულ და ხარისხობრივ მახასიათებლებს. შინაარსობრივი

ანალიზი კი მიღებულ კანონპროექტებს აფასებს მათი რეგულირების საგნის, სუბიექტების, მიზნებისა და სავარაუდო შედეგების მიხედვით.

მეთოდოლოგიური სიზუსტის უზრუნველსაყოფად, სტატისტიკური ანალიზის ერთეულად გამოყენებულია „საკანონმდებლო პაკეტი“. ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილი იყო პაკეტების სახით და თითოეული მათგანი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კანონპროექტს აერთიანებდა, სტატისტიკურ მონაცემებში თითოეული პაკეტი, მასში შემავალი კანონპროექტების რაოდენობის მიუხედავად, ერთ საკანონმდებლო ინიციატივად არის დათვლილი. სტატისტიკურ მონაცემებში ასევე გათვალისწინებულია როგორც მე-11 მოწვევის პარლამენტში ინიცირებული და მიღებული, ისე წინა მოწვევის პარლამენტში ინიცირებული, მაგრამ მიმდინარე მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო პაკეტები.

ანგარიში არ შემოიფარგლება მიღებული კანონების რაოდენობრივი აღწერით და კანონშემოქმედების ხარისხის შეფასებით. საკანონმდებლო ცვლილებები ასევე შეფასდა მისი შინაარსის, რეგულირების მიზნისა და ადამიანის უფლებებსა თუ სახელმწიფო ინსტიტუტებზე მათი გავლენის მიხედვით. ამ საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებები დაჯგუფდა კატეგორიებად, რაც შესაძლებელს ხდის შეფასდეს არა მხოლოდ ის, თუ რა შეიცვალა კონკრეტულ სფეროში, არამედ ისიც, საბოლოოდ რა საერთო ტენდენციები გამოიკვეთა პარლამენტის საქმიანობაში. შესაბამისად, მოცემულ დოკუმენტში კანონშემოქმედების ანალიზი წარმოდგენილია არა ქრონოლოგიურად, არამედ მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში პარლამენტის საქმიანობის რაოდენობრივი და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზებულია ავტოკრატიული ლეგალიზმის (Autocratic Legalism) თეორიული ჩარჩოს ჭრილში.

საპარლამენტო საქმიანობა რიცხვებში - ძირითადი მიგნებების მოკლე მიმოხილვა

მე-11 მოწვევის პარლამენტმა 2024 წლის 25 ნოემბრიდან 2026 წლის 26 ივნისის ჩათვლით პერიოდში სულ 276 საკანონმდებლო პაკეტი/ ინიციატივა მიიღო.

პირველი საგანგაშო ტენდენცია კანონპროექტების დაჩქარებული წესით[1] მიღებას ეხება. ცვლილებების დაჩქარებული წესით მიღება, მის შემჭიდროვებულ ვადებში მიღებას გულისხმობს, რაც, ცხადია, ამცირებს სიღრმისეული დისკუსიისა და დელიბერაციის შესაძლებლობებს. საანგარიშო პერიოდში მიღებული კანონმდებლობის თითქმის ნახევარი

[1] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 113-ე მუხლის თანახმად, პარლამენტმა კანონპროექტი შეიძლება განიხილოს და მიიღოს დაჩქარებული წესით. კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ კანონში ცვლილების შეტანას. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება, როგორც წესი, გულისხმობს მის სამივე მოსმენით განხილვასა და მიღებას 1 კვირის განმავლობაში.

დაჩქარებული წესით იქნა მიღებული, ხოლო დაახლოებით 10% - გამარტივებული წესით[2]. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ "ქართული ოცნების" პარლამენტი საანგარიშო პერიოდში პარტიული ინტერესების გამტარებელი „ე,წ, ნოტარიუსის ფუნქციებს" ასრულებდა, როდესაც კანონების უმეტესობა კონვეირული წესით მიიღებოდა.



განსაკუთრებით საინტერესოა **საპარლამენტო საქმიანობაში აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობის ხარისხი**, რაც ამ უკანასკნელის მიერ შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივების რაოდენობით შეიძლება განისაზღვროს. დღეის მდგომარეობით, პარლამენტი, რომელიც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და კანონშემოქმედების მთავარი ინსტიტუციაა, საკანონმდებლო ინიციატივების რაოდენობით აღმასრულებელ ხელისუფლებას ჩამორჩება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ **საანგარიშო პერიოდში მე-11 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის ნახევარი აღმასრულებლის ინიციატივების განხილვას დაეთმო და მნიშვნელოვნად განსაზღვრა დღის წესრიგი.**

დამატებით ხაზი უნდა გაესვას, რომ საანგარიშო პერიოდში "ქართული ოცნების" პარლამენტს არ განუხილავს და მიუღია ოპოზიციური ნაწილის მიერ ინიცირებული (როგორც წინა

[2] პარლამენტის რეგლამენტის 114-ე მუხლის თანახმად, კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ კანონპროექტი, იმ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ კანონით განსაზღვრული თარიღის (ვადის) ან ტერმინოლოგიურ ცვლილებას, აგრეთვე კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს კანონის ნორმების ნუმერაციის ცვლილებას მათი სამართლებრივი შინაარსის ცვლილების გარეშე, პარლამენტის სხდომაზე შეიძლება განხილულ და მიღებულ იქნეს გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით.

მოწვევის პარლამენტში ინიცირებული, ასევე ამ მოწვევის პარლამენტში, პარტია "გახარია საქართველოსთვის" მიერ წარდგენილი) **არცერთი ცვლილება.**



საანგარიშო პერიოდში პარლამენტის საქმიანობაზე დაკვირვებამ მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოავლინა საკანონმდებლო საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ პერიოდში მიღებული 276 კანონიდან/საკანონმდებლო პაკეტიდან აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატორი ეყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ დასაბუთებას, რომელიც უმეტესად მშრალ, ტექნიკურ ხასიათს ატარებდა. კერძოდ, განმარტებითი ბარათები უმრავლეს შემთხვევაში არ მიუთითებდა არანაირი ტიპის კონსულტაციებზე საჯარო უწყებებთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან, თუ საზოგადოების სხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან. ასევე, უმრავლეს შემთხვევაში არ ჩატარებულა კანონპროექტით მოწესრიგებული საკითხზე რელევანტური დარგობრივი თუ შედარებითი სამართლებრივი ანალიზი. დამატებით, მხოლოდ 6 შემთხვევაში მოხდა საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, 8 შემთხვევაში კი - კანონმდებლობის მიღება ევროსაბჭოს, ევროკავშირის თუ გაეროს სამართლებრივი აქტებთან ჰარმონიზაციას ისახავდა მიზნად.[3]

[3] შენიშვნა: ჩარტში არსებული მონაცემები არ არის ურთიერთგამომრიცხავი ერთი და იგივე კანონი შესაძლოა რამდენიმე კატეგორიაში ერთდროულად მოხვდეს (მაგალითად, კანონპროექტზე ერთდროულად ჩატარებულიყო კონსულტაციები და გამოყენებული ყოფილიყო შედარებით-სამართლებრივი ანალიზი).



რაც შეეხება საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში აზრთა სხვადასხვაობასა და დელიბერაციას, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის საპარლამენტშო არჩევნებში მოპოვებული მანდატების მქონე ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს. ამ გადაწყვეტილებიდან თითქმის ერთი წლის თავზე, 2025 წლის 28 ოქტომბერს საპარლამენტო საქმიანობას დაუბრუნდა პოლიტიკური პარტია „გახარია საქართველოსთვის“. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ინიციატივებისთვის კენჭისყრის პროცესში მოწინააღმდეგეები სწორედ ამ თარიღიდან ფიქსირდება, თუმცა ეს წინააღმდეგობა არ ყოფილა ყოვლისმომცველი და 276 მიღებული კანონიდან/პაკეტიდან მოწინააღმდეგე მხოლოდ 38 შემთხვევაში დაფიქსირდა. დანარჩენ შემთხვევაში პარლამენტმა ინიცირებული კანონპროექტები ერთხმად, ყოველგვარი აზრთა სხვადასხვაობის გარეშე მიიღო.



კიდევ ერთი საინტერესო მონაცემი იმ საკანონმდებლო ინიციატივებს/პაკეტებს ეხება, რომელთა ამოქმედება პარლამენტმა ერთი ან რამდენიმე წლით გადაავადა. როგორც დოკუმენტის შემდგომ თავში, საკანონმდებლო საქმიანობის შინაარსების ანალიზში იქნება განხილული, მათი უმრავლესობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხს შეეხო და კონკრეტული მიმართულებებით ადგილობრივი საკანონმდებლო სივრცის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას ან სხვადასხვა სფეროს ხარისხობრივი მოთხოვნების ამაღლებას ითვალისწინებდა.[4]

[4] შენიშვნა: რაოდენობრივ მონაცემებში არ არის შეყვანილი იმ ტიპის გადავადებები - ჯამში 5 - რომლებიც უფლებით სარგებლობის პერიოდს ახანგრძლივებს და სახელმწიფოს უმოქმედობის მაჩვენებელი არ არის. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე საკანონმდებლო პაკეტში მისაღები ცვლილებები გადავადდა რამდენჯერმე.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მე-11 მოწვევის პარლამენტმა საანგარიშო პერიოდში 8 სრულიად ახალი კანონი მიიღო:

- საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტი;
- საქართველოს ახალი საარჩევნო კოდექსი;
- კანონი "შინაურ ბინადაც ცხოველთა შესახებ";
- კანონი "კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწოოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის შესახებ";
- კანონი "უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი" (FARA);
- კანონი "საერთაშორისო დაცვის შესახებ"
- კანონი "ფაქტორინგის შესახებ";
- კანონი "ეგრისის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ"

პარლამენტის, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს იდეა კანონშემოქმედებითი საქმიანობის ფორმალურად განხორციელებით, კანონების შექმნითა და მიღებით არ შემოიფარგლება. დემოკრატიულ სახელმწიფოში პარლამენტი არის მთავარი ინსტიტუცია, სადაც საზოგადოების სხვადასხვა სფეროების მოწესრიგება საგნობრივი ანალიზის, აზრთა სხვადასხვაობისა და განსჯის, საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების აქტიური ჩართულობითა და შესაბამის საჯარო უწყებებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგად ხდება. როგორც წინა თავში განხილულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა ნათლად აჩვენა, მე-11 მოწვევის პარლამენტი საკანონმდებლო ინიციატივებს თითქმის ერთპიროვნულად, უმეტესად დაჩქარებული წესით, ყოველგვარი დელიბერაციის გარეშე იღებდა, სადაც გამონაკლის შემთხვევებში ჰქონდა ადგილი საჭირო დარგობრივ მოკვლევასა და ანალიზსს თუ დაინტერესებულ ჯგუფებთან კონსულტაციებს. საქმიანობის ამგვარი განვითარებით, მოქმედი პარლამენტი უკვე ღიად უგულებელყოფს კანონშემოქმედების არამხოლოდ შინაარსობრივ, არამედ მინიმალურ ფორმალურ სტანდარტებსაც, რომლებზე

აპელირებაც წინა მოწვევის პარლამენტში კრიტიკის საპასუხოდ "ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო. ყველაფერი ეს კი ნათლად მიუთითებს, რომ მე-11 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის მიზანი საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით და საკითხების სიფრთხილითა და სიღრმისეულად შესწავლის გზით დემოკრატიული კანონშემოქმედებითობა არ არის. კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ მმართველი პოლიტიკური პარტიის მხრიდან ეს მიზანი კანონშემოქმედების ფორმალური სტანდარტების დაკმაყოფილებითაც კი აღარ არის შეფუთული.

კანონშემოქმედება დელიბერაციის და დასაბუთების გარეშე

მე-11 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის ხარისხის ანალიზისას დამატებით ყურადღებას იმსახურებს თავად საკანონმდებლო ინიციატივების დასაბუთებულობის უკიდურესად დაბალი ხარისხი და უმეტესად ფორმალური ხასიათი, რაც სურვილის შემთხვევაშიც ართულებს საკითხზე სიღრმისეულად მსჯელობის შესაძლებლობას, კანონმდებლის რეალური მიზნების დანახვას და პარლამენტის საქმიანობის კონვეირულ ბუნებას კიდევ უფრო კარგად აჩვენებს.

ფორმალურად მითითებული მიზნები **ზოგადია, არასაკმარისი და არ არის დასაბუთებული:**

- **ეფექტიანობა** (მაგ. იურიდიული დახმარების სამსახურის დაკომპლექტების წესის ცვლილებაზე, იხ. აქ; საქსტატის საბჭოს წევრებისა და აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნის ახალ წესზე, იხ. აქ; ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფუნქციების მთავრობაში ინტეგრირებაზე, იხ. აქ; მთავრობის ადმინისტრაციის მთელ სახელმწიფო აპარატთან მიმართებით გაზრდილ უფლებამოსილებებზე, იხ აქ; მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ფუნქციების ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ინტეგრირებაზე, იხ. აქ).
- **მოქნილობა** (პარლამენტის ნაცვლად ბიუროსთვის გარკვეული გადაწყვეტილებების გადანდობაზე, იხ. აქ, სახელმწიფო შესყიდვების მართვისთვის ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს შექმნაზე, იხ. აქ; სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიისთვის აუქციონის გამოცხადებიდან ჩატარებამდე ვადის განსაზღვრის უფლებამოსილების ლიცენზიის გამცემისთვის მინიჭებაზე, იხ. აქ).
- **ოპტიმიზაცია** (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვის გამარტივებაზე, იხ. აქ; ბიზნესომბუდსმენის ლიკვიდაციაზე, იხ. აქ);
- **რესურსების დაზოგვა** (დაგეგმილი კონკურენციის სააგენტოს რეფორმის გადადებაზე, იხ. აქ; საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის გაუქმებაზე, იხ. აქ);
- **კანონმდებლობის დახვეწა** (პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებებზე, იხ. აქ);
- **კონსტიტუციით განსაზღვრულ ორგანოზე კონსტიტუციური სტატუსის არმქონე ორგანოს ფუნქციების გადასვლა** (ანტიკორუფციული ბიუროსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ფუნქციების აუდიტის სამსახურში ინტეგრირებაზე, იხ. აქ და აქ).
- სახელმწიფოს ინსტიტუტის **ხელმძღვანელის პროფესიონალიზმი, სანდოობა და ინსტიტუციური სტაბილურობა** (საქსტატის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ყოფნის ვადის შეზღუდვის ამოღებაზე, იხ. აქ);

- **გამოძიების ხარისხის ზრდა** (სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმებაზე, იხ. აქ);
- რაც შეეხება დაგეგმილი ცვლილებების გადადებას, მათი მიზანი იყო **სახელმწიფო აპარატის ეფექტიანი, ყოვლისმომცველი, კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, კერძო სექტორის შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობა (სამშენებლო ბიზნესზე იხ. აქ) ან/და მწირი რესურსების/ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობის გათვალისწინება.**
- რაც შეეხება ალტერნატივის გარეშე მოქმედი ინსტიტუტების გაუქმებას, მათი მიზანი იყო **წინა ხელისუფლების "შეცდომების" გამოსწორება, არსებული ინსტიტუტების არაეფექტიანობა ან/და ხარჯების დაზოგვა** (იხ. აქ და აქ).

ზოგჯერ განმარტებითი ბარათი **ფორმალურ მიზანსაც კი მხოლოდ პაკეტის ერთი ნაწილისთვის ასახელებს** და დასაბუთების გარეშე ტოვებს საკანონმდებლო პაკეტის მნიშვნელოვან ნაწილებს:

- უცხოელი მსჯავრდებულისთვის მოუხდელი სასჯელის გაძევებით ჩანაცვლების ახალი საფუძვლის შექმნისას (იხ. აქ).

- კანონშემოქმედი არც ერთ შემთხვევაში არ განიხილავს ძველი წესის კონკრეტულ ნაკლოვანებებს (მაგ. რაში მდგომარეობდა იურიდიული დახმარების სამსახურის პარლამენტისადმი ანგარიშვალდებულების (იხ. აქ) ან/და საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის პარლამენტის მიერ არჩევის პრობლემები (იხ. აქ), რომლის გადაჭრასაც ემსახურება ცვლილება;

- ეფექტიანობის ზოგადი მიზნით იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის არჩევის და იურიდიული დახმარების საბჭოს დაკომპლექტების წესის შეცვლისას კანონმდებელი არც კი ახსენებს მოქმედ წესს (იხ. აქ), არათუ ასაბუთებს ასეთი ცვლილების საჭიროებას დასახელებული მიზნის მისაღწევად.

დასაბუთებული არ არის **როგორ მიიღწევა ეს მიზნები და რა რისკებს** შეიძლება შეიცავდეს ისინი.

- როგორ უზრუნველყოფს საქსტატის ხელმძღვანელის პროფესიონალიზმს, სანდოობასა და საქსტატის ინსტიტუციურ სტაბილურობას საქსტატის ხელმძღვანელის ორზე მეტი ვადით არჩევა და რა რისკებს შეიძლება შეიცავდეს ასეთ ორგანოში როტაციის არარსებობა;
- როგორ უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციის უშუალო ჩართულობა საჯარო სამსახურის რეფორმაში მის ეფექტიანობას და რა რისკებს შეიძლება შეიცავდეს ამ კუთხით ყველაზე რელევანტური გამოცდილების მქონე სპეციალიზებული ორგანოს ლიკვიდაცია;
- მოქმედი ინსტიტუტების გაუქმებისას, არ იყო მითითებული, თუ რატომ არ შეიძლებოდა მათი რეფორმა არაეფექტიანობის აღმოსაფხვრელად ან/და რა რისკებთან იყო დაკავშირებული მათი ალტერნატივის გარეშე გაუქმება.

კანონმდებელი დასაბუთებისას **არაგონივრულ დათქმებსაც** იყენებს:

- კონკურენციის სააგენტოს ეფექტიაობისთვის მის ინსტიტუციურ მოწყობას არარელევანტურად მიიჩნევს (იხ. აქ).

- ხელისუფლების შტოების უფლებამოსილების შეზღუდვას აღმოსაფხვრელ პრობლემად წარმოაჩენს (მთავარი პროკურორის არჩევის ახალ წესზე, იხ. აქ);
- ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გაუქმებას და მისი ფუნქციების მთავრობაში ინტეგრირებას საპარლამენტო მმართველობის მოდელით განპირობებულად მიიჩნევს (იხ. აქ);
- ევროკავშირში საჯარო შესყიდვების რეგულირების კუთხით დაგეგმილ ცვლილებებს, რომელმაც დირექტივებთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ახალი ეტაპის საჭიროება შეიძლება წარმოქმნას, საფრთხედ ხედვას საკანონმდებლო სივრცის ერთიანობისა და უწყვეტობის შენარჩუნებისთვის, რაც ჰარმონიზაციის მიზნით უკვე დაგეგმილი ცლილებების გადადებით უნდა აღმოიფხვრას (იხ. აქ). ეს დასაბუთება განსაკუთრებით "თვალთმაქცურია" სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შემზღუდველი კანონმდებლობის განგრძობადი დამძიმების ფონზე (იხ. ზემოთ).

ბოლოს, **უფლებების შემზღუდავი საკანონმდებლო ინიციატივების დასაბუთებისას ინიციატორები ხშირად მიმართავენ პოპულისტურ ნარატივებს, ფსევდო-იდეოლოგიურ, ანტი-დასავლურ და წინა ხელისუფლების საწინააღმდეგო რიტორიკას.** მაგალითისთვის:

- "უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის" (FARA) ინიციატივის, ისევე როგორც "გრანტების შესახებ" კანონში განხორციელებული არაერთი ცვლილებისას, განმარტებით ბარათში მოყვანილია აშშ-ს მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები იმის დასტურად, რომ "უცხოური დახმარებები დიდი ხანია არასათანადო მიზნებით გამოიყენება და, მათ შორის, საქართველოში, დესტაბილიზაციის, დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობასა და რევოლუციური სცენარის მხარდაჭერას ემსახურება" (იხ. აქ);
- კანონმდებლობიდან ტერმინ "გენდერის" ამოღებაზე ცვლილებების ინიციატორები აღნიშნავდნენ, რომ "გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უცხოური გავლენისა და მათი წარმომადგენლების აქტიური ლობირებით, მიზანმიმართულად ხდებოდა ამგვარი ხელოვნური ტერმინების დანერგვა, რაც მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ერთგვარ ანარეკლი იყო და სახელმწიფოსთვის, გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდა საწინააღმდეგო მიმართულებით პრინციპული პოზიციის დაკავება"(იხ. აქ);
- სტუდენტებისთვის ქართული ენის სავალდებულო კურსის უნივერსიტეტებში შემოტანისას ცვლილების ინიციატორების მითითებით "2003 წელს რევოლუციის გზით მოსულმა არაეროვნულმა ხელისუფლებამ სავალდებულო საუნივერსიტეტო საგანი ,,ქართული ენა" გააუქმა. ეს იყო ნაწილი იმ დანაშაულებრივი ღონისძიებებისა, რომლებიც იმ ხელისუფლებამ ჩაიდინა სახელმწიფო ენის მიმართ. ქართულ ენასა და ქართულ ეროვნულ იდენტობაზე განხორციელებული მიზანმიმართული შეტევა შეწყდა 2012 წელს ქართული ოცნების საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ". შესაბამისად, აღნიშნული ინიციატივა, კანონმდებლის დასაბუთებით, ენის პოპულარიზაციას და იდენტობის აღდგენას ემსახურებოდა (იხ. აქ);
- პოლიტიკური პარტიების აკრძალვის საფუძვლების გაფართოებისას, ცვლილებების ინიციატორებმა კონტექსტიდან ამოგლეჯილად და მანიპულაციურად მიუთითეს "თავდაცვითი დემოკრატიის" კონცეფციაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე და

ცვლილების აუცილებლობა შესაბამისი პროცედურული დაზუსტებების საჭიროებით ახსნეს (იხ. აქ);

- ემიგრანტებისათვის აქტიური საარჩევნო უფლების ფაქტობრივად გაუქმების დასაბუთებისას კანონმდებელმა ეს ცვლილებები იმით დაასაბუთა, რომ "სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლები იმყოფებიან უცხო ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ და ეფექტურად ვერ ხორციელდება მათი ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა". ცვლილებების საზოგადოების წინაშე დაანონსებისას კი შალვა პაპუაშვილმა დამატებით განმარტა, რომ "ზოგადად, ადამიანი ორიწყაროდან იღებს ინფორმაციას - ერთი ეს არის მედია, საიდანაც ადამიანი ინფორმაციასუფრო გაფილტრულად, სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისი ინტერპრეტაციით იღებს, და ე.წ. გაუფილტრავი ინფორმაცია, რომელსაც ადამიანი პირადად, საზოგადოებასთან თუ სახელმწიფოსთან ინტერაქციაში იღებს. დეზინფორმაციისა და ცრუ ნარატივების ეპოქაში ამ ორი წყაროდან მიღებული ინფორმაცია შესაძლოა რადიკალურად ურთიერთსაპირისპირო იყოს. ეს გარემოება ზრდის ქვეყანას ფიზიკურად მოწყვეტილი მოქალაქის მხრიდან არაინფორმირებული არჩევანის გაკეთების რისკს. შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ხმის მიცემის წესის დამკვიდრება ზრდის არჩევნების მედეგობას, ამცირებს გარემოთამაშეების გავლენას და უზრუნველყოფს უფრო ადეკვატურ, ინფორმირებულ არჩევანს" (იხ. აქ).

ძალაუფლების შენარჩუნება, როგორც კანონმდებლის მთავარი მიზანი

საანგარიშო პერიოდში მე-11 მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სხვადასხვა სფეროს ეხებოდა, თუმცა ისინი, საბოლოო ჯამში, ერთიან პოლიტიკურ-სამართლებრივ ლოგიკას ექვემდებარებოდა. ადამიანის უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო ინსტიტუტების რეორგანიზაცია, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის გაფართოება, პარლამენტისა და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტება, სასამართლო სისტემაში გავლენიანი ჯგუფების პოზიციების განმტკიცება და პოლიტიკური მხარდაჭერის შენარჩუნებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო გადაწყვეტილებები ცალკეული, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ინიციატივები არ ყოფილა. როგორც წინამდებარე თავში გაკეთებული საკანონმდებლო ცვლილებების შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის ძირითადი ნაწილი ძალაუფლების კონცენტრაციის, დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების შესუსტებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის პოზიციების განმტკიცებისკენ იყო მიმართული.

უფლებების შეზღუდვა საჯარო სივრცის კრიტიკისგან დაცლის მიზნით

- **შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება**

2024-2026 წლებში ყველაზე პრობლემური და რეპრესიული ცვლილებები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებებს ეხებოდა და მისი მიზანი, ეტაპობრივად და მეთოდურად საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობა და კრიტიკული ველის მოსუფთავება იყო. "ქართული ოცნების" პარლამენტმა ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად მიიღო აღნიშნული

თავისუფლებების შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შედეგად ქვეყანაში ფაქტობრივად პროტესტი კრიმინალიზებული გახდა. კერძოდ,

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით** - მკვეთრად გაიზარდა ფინანსური სანქციები სამართალდამცავი ორგანოების შენობებთან ახლოს აქციის გამართვის, შენობების შესასვლელების ბლოკირების, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის (როცა ამას არ მოითხოვს მონაწილეთა რაოდენობა), სხვადასხვა ტიპის ფასადებზე წარწერების თუ სიმბოლოების შესრულებისთვის; აიკრძალა სახის ნიღბით ან ნებისმიერი საშუალებით დაფარვა, ლაზერის ან პიროტექნიკის გამოყენება; კანონმდებლობაში გაჩნდა პრევენციული დაკავების და პირადი გასინჯვის მექანიზმი (07-3/16/11, იხილეთ განმარტებითი ბარათი აქ);
- **2025 წლის 6 თებერვლის ცვლილებებით** - დამძიმდა სასჯელი დანაშაულებისთვის - ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდება, ასევე წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ. შეიქმნა ახალი დანაშაულის შემადგენლობა - დანაშაულად აცხადებს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, პოლიტიკური თანამდებობის პირზე, სახელმწიფო მოსამსახურეზე, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირზე ან/და საჯარო მოსამსახურეზე ძალადობის მუქარა/ თავდასხმა; **საპროტესტო აქციების ფარგლებში ხშირად გამოყენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 15 დღიდან 60 დღემდე გაიზარდა პატიმრობის მაქსიმალური ვადა.** შეიქმნა ახალი სამართალდარღვევა - სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, ან/და სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება; დადგინა შეკრებაზე (მათ შორის სპონტანურზე) წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება; აიკრძალა დახურულ სივრცეში მესაკუთრის თანხმობის გარეშე შეკრება, ასევე კონკრეტულ ადგილებში შეკრება/მანიფესტაცია, აქციაზე კარვების ან სხვა კონსტრუქციების მოწყობა, ასევე შსს-ს მიერ შეწყვეტილ აქციაში მონაწილეობა; ზოგიერთ სამართალდარღვევაზე კი საერთოდ გაუქმდა სასამართლოს განსჯადობა (07-3/22/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 25 ივნისის ცვლილებებით** - შეიცვალა ცილისწამების რეგულირება - ცილისწამებად კვალიფიკაციისთვის სავალდებულო ელემენტად მოიხსნა ზიანი; შესაძლებელი გახდა ზოგადად (არამხოლოდ "პირისპირ") შეურაცხყოფის შინაარსობრივი რეგულირება; გაუქმდა წყაროს დაცვის და პროფესიული საიდუმლოების გამხელისგან დაცვის გარანტიები, გაუქმდა კვალიფიციური პრივილეგია; ცილისწამების საქმეებში შეიცვალა მტკიცების ტვირთი და სხვ. (07-3/73/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 16 ოქტომბრის ცვლილებებით** - სახდელის სახით მხოლოდ პატიმრობა დადგინდა პროტესტთან დაკავშირებული რიგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის (აქციაზე სახის დაფარვა; აქციაზე ცეცხლსასროლი, ფეთქებადი, პიროტექნიკული და სიცოცხლისთვის საშიში საშუალებების ქონა; დროებითი კონსტრუქციის მოწყობა; ასევე ხალხის

ან ტრანსპორტის მოძრაობისთვის დაბრკოლებების შექმნა, მათ შორის გადაკეტვა); პროტესტთან დაკავშირებული რიგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის (შსს-ის მიერ დაშლილ აქციაში მონაწილეობა, გზის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, ნიღბით სახის დაფარვა, დროებითი კონსტრუქციის მოწყობა ან ცრემლსადენი საშუალების ტარება) სახდელდადებული პირის მიერ განმეორებით ქმედების ჩადენა გახდა სისხლის სამართლის დანაშაული; გამკაცრდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკრების ორგანიზატორის მიმართ; შეიქნა ახალი დანაშაულის შემადგენლობა - სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ან სხვა საჯარო მოხელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან მათი შეურაცხყოფა განმეორებით, სახდელდადებული პირის მიერ (163/3-XIმპ, იხ. განმ. აქ);

- **2025 წლის 10 დეკემბრის ცვლილებებით** - აიკრძალა ხალხის გადაადგილებისთვის განზრახ დაბრკოლებების შექმნაც, ასეთი შეფერხების პრევენციისთვის დადგინდა აქციის გამართვის შესახებ შსს-ს 5 დღით ადრე გაფრთხილების ვალდებულება, შსს-ს კი გაუჩნდა შეკრების მონაწილეებისთვის შესასრულებლად სავალდებულო მითითების მიცემის უფლებამოსილება (წერილობითი აქციამდე ან ზეპირი აქციის დროს) "ჩატარების ადგილის ან/და დროის, სვლაგეზის შეცვლის" შესახებ, როდესაც დემონსტრაცია აბრკოლებს არა მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებების, არამედ "ხალხის შეუფერხებელ გადაადგილებასაც". ამ მოთხოვნების დარღვევისთვის განისაზღვრა 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა. სახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების ჩადენა კი გახდა სს დანაშაული, რომელიც 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით არის დასჯადი (236/3 -XIმპ, იხ. განმ. აქ).

- **გაერთიანების თავისუფლება**

გაერთიანების თავისუფლება, სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის ფუნქციონირება და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საქმიანობა მე-11 მოწვევის პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახდა. საანგარიშო პერიოდში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა თანმიმდევრულად და მეთოდურად შეზღუდა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტორების საქმიანობის შესაძლებლობები, გააააფართოვა სახელმწიფოს კონტროლისა და სანქცირების მექანიზმები და შექმნა დამატებითი სამართლებრივი ბერკეტები კრიტიკული ხმების ჩასახშობად..

ამ პროცესის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება იყო სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ მიმართული ე.წ. „რუსული კანონის" მიღება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივა 2023 წლის გაზაფხულზე მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტის ფონზე ვერ იქცა კანონად, "ქართულმა ოცნებამ" ის მომდევნო წელს კვლავ დააინიცირა და 2024 წლის გაზაფხულზე საბოლოოდ მიიღო. სწორედ აღნიშნულმა კანონმა ჩაუყარა საფუძველი კრიტიკული სამოქალაქო და მედიაორგანიზაციების მიმართ ახალი რეპრესიული სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებას.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საქმიანობის სამართლებრივი გარემოც. საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, მმართველმა გუნდმა არაერთხელ დააანონსა ოპოზიციური პარტიების აკრძალვის ინიციატივა მათი სავარაუდო არაკონსტიტუციური საქმიანობის საფუძვლით. პარალელურად, ოპოზიციური პარტიების ლიდერებისა და წარმომადგენლების მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის შედეგად მათი ნაწილი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში იმყოფება, ხოლო სხვების მიმართ სისხლისსამართლებრივი პროცესი კვლავ გრძელდება.

სამოქალაქო საზოგადოება

საანგარიშო პერიოდის მიღმა, პარლამენტმა მიიღო და უკვე მოქმედებს 2024 წლის 28 მაისს მიღებული ე.წ. „რუსული კანონი“.

- **2025 წლის 20 თებერვლის ცვლილებებით** - შეიქმნა სსიპ - სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო, ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების მიზნით, ქვეყნის პრიორიტეტების შესაბამისად (07-2/18/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 1 აპრილს** - პარლამენტმა მიიღო კანონი "უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტი" (FARA), ამასთან სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა შესაბამისი ახალი დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე მედია ორგანიზაციების დირექტორებს და "დაკავშირებულ პირებს" უდგენს სს პასუხისმგებლობას რეგისტრაციაზე უარის ან კანონის სხვაგვარი დარღვევისთვის (07-3/27/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 2 აპრილს მიღებული ცვლილებებით** - გაუქმდა არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო გადაწყვეტილებების მიღებისა და გარკვეულ თანამდებობის პირთა დანიშვნის/არჩევის პროცესში სავალდებულო მონაწილეობა (07-3/32/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 16 აპრილის ცვლილებებით** - "გრანტების შესახებ" კანონში დადგინდა დონორების ვალდებულება, გრანტის გაცემამდე მიიღონ მთავრობის თანხმობა; აკრძალული გრანტის მიღებისთვის კი განისაზღვრა პასუხისმგებლობა, აღნიშნული გრანტის ორმაგი ოდენობით (07-3/50/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 12 ივნისის ცვლილებებით** - გრანტის ცნებაში ჩამოთვლილ მიზნობრიობას დაემატა „თავდაცვისა და უსაფრთხოების“ სფეროები; გაიზარდა გრანტის გამცემი უცხოური აქტორების ჩამონათვალი და მას დაემატა „სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია“; გაიზარდა გრანტის განმარტების ჩამონათვალი (07-3/61/11, იხ. განმ. აქ);
- **2026 წლის 4 მარტის ცვლილებებით** - არსებითად გაფართოვდა გრანტის ცნება და შესაბამისად დადგინდა მისი მთავრობათან შეთანხმების ვალდებულება, ასევე შემოღებული წესი ფაქტობრივად უკუძალით გავრცელდა უკვე არსებულ ურთიერთობებზე; კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის განისაზღვრა სს პატიმრობა 6 წლამდე; სს პასუხისმგებლობა დადგინდა ე.წ. "გარე ლობიზმისთვის" და სს კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს - "ფულის გათეთრებას" დაემატა დამამძიმებელი გარემოება - ფულის გათეთრება „საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე აქტივობების

განხორციელების მიზნით“. ამ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ზომა 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა; 8 წლის განმავლობაში პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალა უცხოური დაფინანსების მიმღებ პირებს; სამოქალაქო ორგანიზაციები ფაქტობრივად გაუთანაბრდა პოლიტიკურ პარტიებს და მათზე გავრცელდა პარტიებზე მოქმედი ფინანსური ზედამხედველობის რეჟიმი (252/3-XIმპ, იხ. განმ. აქ);

- **2026 წლის 15 აპრილის ცვლილებებით** - გამკაცრებული კანონმდებლობიდან გამონაკლისი დაიშვა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობის მიერ გაცემული სახსრების მიმართ (282/3-XIმპ, იხ. განმ. აქ).

მედია

დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ მედიის მიმართ ასევე მოქმედებს ე.წ. FARA და “გრანტების შესახებ” კანონში შესული უფლებების შემზღუდველი ცვლილებები და ე.წ. “რუსული კანონი”. პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენის საფუძველზე პატიმრობაშია ქართველი ჟურნალისტი, ონლაინგამოცემების, „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი - მზია ამაღლობელი.

- **2025 წლის 1 აპრილის ცვლილებებით** - „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით არსებითად გაუარესდა მედია თავისუფლების სტანდარტი - აიკრძალა „უცხოური ძალისგან“ მედიის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება. დამატებით, „დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ახალი ამბების პროგრამაში პოლიტიკური ან სხვა სახის დაპირისპირების ამსახველი ინფორმაციის ან საჯარო პოლიტიკის მიმდინარე საკითხების გაშუქება მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების ან მოსაზრების საფუძველზე. დაუშვებელია პროგრამაში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვა (07-3/24/11, იხ. განმ. აქ);

- **2025 1 აპრილის მორიგი ცვლილებებით** - ტელე და რადიო მაუწყებლებს აეკრძალათ უცხოური ძალისგან პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების, მათ შორის, ფულადი თანხის ან ქონებრივი ღირებულების სხვა სიკეთის მიღება. გამონაკლისია კომერციული რეკლამა, ტელეშოპინგი, სპონსორობა.. ამასთანავე, აკრძალა უცხოური ძალის მიერ მაუწყებლების მომსახურების შესყიდვა (გარდა კომერციული რეკლამისა და პროდუქტის განთავსებისა) ან/და პროგრამის მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება (07-3/30/11, იხ. განმ. აქ);

- **2025 1 აპრილის მორიგი ცვლილებებით** - “მაუწყებლობის შესახებ” კანონს დაემატა ბუნდოვანი რეგულაციები ტელე და რადიო მაუწყებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით, მათ შორის, ფაქტის ჯეროვანი სიზუსტე და პასუხის უფლება, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა, შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის და სხვა

საგანგებო ვითარების გაშუქება და არასრულწლოვან პირთა დაცვის ცალკეული საკითხები; შესაბამისად, გაფართოვდა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის შინაარსობრივი რეგულირების სფერო, რამაც საფრთხე შეუქმნა მაუწყებლების სარედაქციო დამოუკიდებლობას და გამოხატვის თავისუფლებას (07-3/29/11, იხ. განმ. აქ);

- **2025 წლის 12 ივნისის ცვლილებებით** - უცხოური დაფინანსების კონტროლის მიზნით, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიეცა უფლება, სასამართლოს მიმართოს და კომერციული ბანკებიდან/მიკრო ბანკებიდან მაუწყებლების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია გამოითხოვოს (07-3/63/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 24 ივნისის ცვლილებებით** - მედიას შეეზღუდა სასამართლო პროცესების გაშუქების შესაძლებლობა (07-3/74/11, იხ. განმ. აქ);
- **2026 წლის 23 ივნისის ცვლილებებით** - უცხოური დაფინანსების აკრძალვა მოეხსნათ სპეციალიზებულ მაუწყებლებს (რომელებიც ძირითადად ერთი თემატიკის (ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა) პროგრამებით მაუწყებლობენ)). მაუწყებლის მიერ აკრძალული დაფინანსების მიღების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად მაუწყებელს დაავალდებულოს მიღებული დაფინანსების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა. **ეს იყო ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც უფლების შემზღუდველი კანონმდებლობის პირველადმა ვერსიამ გარკვეული მოფიცირება გაიარა, თუმცა, გამონაკლისების დადგენისას სპეციალური დაზუსტებები (გამონაკლისის გამონაკლისები) იყო შემოღებული, რათა მათი სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ განმარტება შესაძლებელი არ ყოფილიყო** (320/3-XIმპ, იხ. განმ. აქ).

პოლიტიკური პარტიები

საკანონმდებლო ცვლილებების მიღმა ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის ლიდერები მუდმივი პოლიტიკური დევნის სუბიექტები არიან და მათ მიმართ არაერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში "ქართული ოცნების" მიერ შეტანილია კონსტიტუციური სარჩელები კონკრეტული ოპოზიციური პარტიების აკრძალვის მოთხოვნით, რომლებზეც ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებებს,

- **2024 წლის 5 თებერვალს** - პარლამენტში შეიქმნა საგამოძიებო კომისია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდზე, რომელსაც შედეგად არაერთი ოპოზიციური ლიდერის დაპატიმრება მოჰყვა;
- **2025 წლის 16 აპრილის ცვლილებებით (რომელიც იმავდროულად შეეხო სამოქალაქო სექტორს და მედიას)** - პოლიტიკური პარტიას და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირს აეკრძალათ შემოწირულების სახით საქართველოში ან საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული იურდიული პირისგან ან/და პირთა სხვა სახის გაერთიანებისგან ლექციის,

სემინარის, ან სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიების მოწყობა(07-3/50/11, იხ. განმ. აქ);

- **2025 წლის 16 მაისის ცვლილებებით** - კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, ორდინალური კანონმდებლობით გაფართოვდა პოლიტიკური პარტიის აკრძალვის საფუძვლები. ასევე აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვნად შემჭიდროვდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადები (07-3/48/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 16 ოქტომბრის ცვლილებებით** - გაფართოვდა პოლიტ. პარტიების აკრძალვის საფუძვლები; დადგინდა აკრძალულ პარტიასთან დაკავშირებული ფიზიკური პირებისთვის პარტიის წევრობის/პარტიული საქმიანობის აკრძალვა, ასევე სხვა პარტიის სასარგებლოს შემოწირულობის გაღება, დადგინდა საკონსტიტუციო სასამათლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში პარტიის დასჯადობა სს წესით (162/3-XIმპ, იხ. განმ. აქ).

- **რეპრესიები საჯარო სამსახურში**

2024 წლის მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტის აქტიური მონაწილეები იყვნენ საჯარო მოხელეებიც. მათი პროტესტი ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერებას მოჰყვა. პროტესტი საჯარო სამსახურის ,,თვითწმენდის პროცესად'' შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ და ხელისუფლების მხრიდან ,,კონსტიტუციისა და კანონმდებლობის'' შესაბამისი რეაგირება დააანონსა, რომელიც მალევე მოვიდა სისრულეში. მოვლენების განვითარების ქრონოლოგია ნათლად მიუთითებს, რომ რამდენიმე ეტაპად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი კრიტიკული საჯარო მოხელეების დასჯა, მათი სამსახურიდან გათავისუფლების გამარტივება და საჯარო სექტორის ყველა დონეზე სრული პარტიული კონტროლის დამყარება იყო. თუმცა მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ ნაჩქარევად დაგეგმილი და განხორციელებული "რეფორმის" შემდეგ, მმართველ გუნდს გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუხდა და უკვე მიღებულ რეპრესიულ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილები შეიტანა. კერძოდ,

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით** - განხორციელდა საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელის და მისი მოადგილის სტატუსის პოლიტიზირება (ისინი საჯარო მოხელეებიდან ადმ. ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად იქცნენ, რომელთა დანიშვნა შესაძლებელი გახდა უკონკურსოდ და უფლებამოსილების ვადა მიება ხელმძღვანელის საქმიანობის ვადას) და შესაბამისად დასუსტდა მათი უფლებრივი გარანტიები; გაიზარდა საჯარო მოხელეთა კონკურსის პოლიტიზირების რისკები, გახშირდა მათი პერიოდული შეფასებების რაოდენობა და შეიქმნა მათი დასჯის ახალი მექანიზმი; საჯარო სამსახურის რეორგანიზაციის დროს საჯარო მოხელეებისათვის დადგენილი საკანონმდებლო გარანტიები ფაქტობრივად გაუქმდა; რეორგანიზაციის აღნიშნული წესები გავრცელდა საჯარო სამსახურის იურიდიულ პირებზეც (07-3/17/11, იხ. განმ. აქ);

- **2025 წლის 6 თებერვლის ცვლილებებით** - პირველი რეფორმის შემდგომ დამატებით დაზუსტდა პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელსა და მის მოადგილის ადმ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადები და კომპენსაციის გაცემის საკითხი (07-3/21/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 20 თებერვლის ცვლილებებით** - გაუქმდა საჯარო სამსახურის ბიურო (იხ. აქ), რომელიც საჯარო სამსახურის რეფორმების მთავარი მაკოორდინირებელი ორგანო იყო;
- **2025 წლის 1 აპრილის ცვლილებებით** - შემოვიდა საჯარო მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნება (ცალკეული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და მათ მოადგილეები), და კომპენსაციის ვალდებულება გავრცელდა ასევე იმ მოხლეებზე, რომლებიც რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირების საფუძვლით თავისუფლდებიან სამსახურიდან (07-3/33/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 1 აპრილის მორიგი ცვლილებებით** - საჯარო მოხელეს უფლება მიეცა ეწეოდეს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ან იღებდეს რაიმე სხვა სარგებელს მხოლოდ ზემდგომის თანხმობის საფუძველზე. (იხ. აქ).
- **2025 წლის 14 მაისის ცვლილებებით** - დიპლომატიური სამსახურის ფასეულობებსა და პრინციპებს დაემატა სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და ეთიკურ ნორმათა დაცვის პრინციპი; მინისტრს მიენიჭა უფლება, საკუთარი აქტით დაამტკიცოს ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები, რომელთა დარღვევა (თუ ზიანს აყენებს ქვეყნის იმიჯს ან ეწინააღმდეგება საგარეო პოლიტიკის კურსს) მივლინებიდან ვადამდე გამოწვევისა და პირის რეზერვში ჩარიცხვის საფუძველია; როტაციის წესით მივლინების ვადის გაგრძელება გაიზარდა 6 თვიდან 1 წლამდე და მოიხსნა შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც პირს არ შეეძლო მივლინების ვადის ამოწურვის შემდეგ იმავე თანამდებობაზე დაბრუნება 1 წლის განმავლობაში; დიპლომატიური თანამდებობის პირები და ადმინისტრაციული პერსონალის წლიური შეფასების რაოდენობა გაომარგდა (07-2/37/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 10 დეკემბრის ცვლილებებით** - ხელმძღვანელის თანხმობით, თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულ პირებს სხვადასხვა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელების უფლება მიეცათ (იხ. აქ).
- **2026 წლის 23 ივნისის ცვლილებებით** - გაიზარდა საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დაშვებული რიცხვი; სახელფასო დანამატისა და ფულადი ჯილდოს მიღების შესაძლებლობა შეექმნათ მთავრობის წევრის მოადგილეს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრთა მოადგილეებს, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (303/2-XIმპ იხ. აქ).

- **აკადემიური თავისუფლება**

მე-11 მოწვევის პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა შეეხო არა მხოლოდ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების, არამედ განათლების სფეროსაც.

2025 წლის ოქტომბერში მთავრობის მიერ წარმოდგენილი უმაღლესი განათლების რეფორმის კონცეფციის საფუძველზე, პარლამენტმა მოკლე პერიოდში მიიღო ერთმანეთთან

დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების სერია, რომელმაც არსებითად შეცვალა როგორც უმაღლესი, ისე ზოგადი განათლების სისტემის მართვის მოდელი. რეფორმა მომზადდა აკადემიური საზოგადოების ფართო მონაწილეობის გარეშე და ხელისუფლების მიერ დასაბუთებული იყო შრომის ბაზრის საჭიროებებთან განათლების სისტემის უკეთ შესაბამისობის მიზნებით. თუმცა, მიღებული ცვლილებების შინაარსით მნიშვნელოვნად გაფართოვდა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენა განათლების სისტემაზე: მთავრობას გადაეცა უნივერსიტეტების დაფინანსების, სტუდენტთა რაოდენობის, საგანმანათლებლო პროგრამების, ინსტიტუციური პროფილისა და რეორგანიზაციის პროცესების განსაზღვრის ფართო უფლებამოსილებები, ხოლო სახელმწიფოს როლი გაიზარდა ზოგადი განათლების შინაარსობრივი კომპონენტების მართვაშიც. შედეგად, განათლების სისტემის მნიშვნელოვანი ასპექტები უნივერსიტეტებისა და აკადემიური საზოგადოების თვითმმართველობიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალიზებული კონტროლის სფეროში გადავიდა, რაც ეწინააღმდეგება უნივერსიტეტების ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციით განსაზღვრულ გარანტიებს. კერძოდ,

- **2025 წლის 10 დეკემბრის ცვლილებებით** - შეიქმნა დაფინანსების ახალი მოდელი, გაუქმდა საგრანტო დაფინანსება; სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლა სრულად დაფინანსდება სახელმწიფო მიერ, კერძო უნივერსიტეტებში ჩაბარებისას კი სტუდენტს გრანტი აღარ მიეცემა. დაინერგა 3+1 სისტემა, სადაც 3 წელი ბაკალავრიატს, 1 წელი კი მაგისტრატურას დაეთმობა. მთავრობა ყოველწლიურად განსაზღვრავს, რამდენ სტუდენტს მიიღებენ კერძო უნივერსიტეტები. დაიგეგმა "ერთი ფაკულტეტი-ერთი ქალაქის" პრინციპი. მთავრობა განსაზღვრავს იმ პროგრამების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელების უფლებაც ექნებათ უნივერსიტეტებს (234/2-XIმპ, იხ.განმ. აქ);
- **2026 წლის 4 თებერვლის ცვლილებებით - ზოგად განათლებაში:** საქართველოში სრული ზოგადი განათლება გახდება არანაკლებ 11 წელი და არაუმეტეს 12 წელი; ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი იქნება 6 წელი, რომელიც პირს 15 სექტემბრის ჩათვლით შეუსრულდება; მოსწავლისათვის სკოლაში, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, სასკოლო ფორმის ტანსაცმელის ტარება გახდება სავალდებულო; სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესი გაუქმდება და სამინისტრო შექმნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო სასკოლო სახელმძღვანელოს, უზრუნველყოფს მის ბეჭდვასა და მოსწავლეებისთვის უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემას (254/2-XIმპ,) **უმაღლეს განათლებაში:** „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონიდან ამოღებულ იქნება მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; შეიცვალა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების რეორგანიზაციის პროცესების სამართლებრივი ჩარჩო; აკადემიური პერსონალის ჩამონათვალს დაემატა წამყვანი პროფესორის თანამდებობა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები; დამატენით დადგინდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომლებსაც მთავრობა კურიკულუმების ჩამონათვალს განუსაზღვრავს, უფლება ექნებათ 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული, მაგრამ ჩამონათვალში ვერშესული პროგრამები მილევად რეჟიმში, კონკრეტული ვადით განაგრძონ (255/2-XIმპ, იხ. განმ. აქ);

- **2026 წლის 1 აპრილის ცვლილებით** - პირველ კლასში ჩარიცხვის შესაძლებლობა დაუბრუნდათ ბავშვებს, ვისაც სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლიოთ პერიოდში უსრულდებათ 6 წელი (273/2-XIმპ, იხ. განმ. აქ);
- **2026 წლის 14 მაისის ცვლილებებით** - 2025 წლის 17 დეკემბრამდე ჩარიცხულ სტუდენტებს გარდამავალ პერიოდში (2030-2031 სასწავლო წლის ჩათვლით) შაინარჩუნდათ არა მხოლოდ უკვე მოპოვებული დაფინანსება, არამედ მიეცათ მისი მოპოვებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობაც (307/2-XIმპ, იხ. განმ. აქ);
- **2026 წლის 10 ივნისის ცვლილებებით** - სასკოლო სახელმძღვანელოების განახლების პროცესის დასრულებამდე ანუ 2028-2029 სასწავლო წლის დაწყებამდე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ექნებათ შესაძლებლობა როგორც სამინისტროს მიერ შექმნილი ასევე, გრიფმინიჭებული ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი, სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები გამოიყენონ (334/2-XIმპ, იხ. განმ. აქ).

უფლებების შეზღუდვა პროპაგანტისტული მიზნებით

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა არ შემოიფარგლა მხოლოდ პოლიტიკური უფლებების შეზღუდვით. ცვლილებების ნაწილი სხვადასხვა სფეროში განხორციელდა, რომლებიც საერთო პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ლოგიკას ემსახურებოდა და მიზნად ისახავდა სახელმწიფოს როლის გაძლიერებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, „ტრადიციული ღირებულებების“, „საზოგადოებრივი წესრიგისა“ და „ეროვნული ინტერესების“ დაცვის სახელით.

ამ მიმართულებით პარლამენტმა, ერთი მხრივ, მიიღო სიმბოლური და პროპაგანდისტული ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა პრაქტიკული სამართლებრივი მნიშვნელობა შეზღუდული იყო, თუმცა ისინი მკაფიო პოლიტიკურ გზავნილებს შეიცავდა. მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად გაამკაცრა ნარკოპოლიტიკა და მიგრაციის სფეროს რეგულირება, გააფართოვა სახელმწიფოს კონტროლისა და სანქცირების მექანიზმები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სრულად უგულებელყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი უფლებრივი სტანდარტებიც. ქვემოთ მოცემული ცვლილებები აჩვენებს, რომ "ქართული ოცნება" კანონშემოქმედებას იყენებს არა მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, არამედ საკუთარი ფსევდო-იდეოლოგიური და პოლიტიკური დღის წესრიგის სამართლებრივი გამყარებისთვის.

- **2025 წლის 1 აპრილის ცვლილებებით** - სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა დანაშაულის ახალი შემადგენლობა "სამშობლოს ღალატი" (07-3/34/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 2 აპრილის მასშტაბური ცვლილებებით** - მთლიანად კანონმდებლობიდან გაქრა ტერმინი "გენდერი", რომელიც ინიციატორთა დასაბუთებით, წლების განმავლობაში უცხო ძალების მხრიდან ქართველი კანონმდებელზე თავს იყო მოხვეული (07-3/31/11, იხ. განმ. აქ);

- **2025 წლის 16 აპრილისა** (07-3/40/11, იხ. განმ. აქ); **და 2 ივლისის** (07-3/76/11, იხ. განმ. აქ) **ცვლილებებით** - ნარკოპოლიტიკა (მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების უგულებელყოფით კანაფთან/მარიხუანასთან დაკავშირებით) კიდევ უფრო სადამსჯელო გახდა გამკაცრებული ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით; გაფართოებული იძულებითი ნარკოტესტირების საფუძვლებითა და ფარგლებით; სამკურნალო პროგრამებზე შემცირებული ხელმისაწვდომობით;

- **2025 წლის 10 ივნისის ცვლილებებთი** - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფოენოვან ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული სტუდენტებისათვის ქართული ენის (ორსემესტრიანი) სპეციალური კურსის გავლა გახდა სავალდებულო (07-3/54/11, იხ. განმ. აქ);

- **2025 წლის 26 ივნისის ცვლილებებით** - დადგინა შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების გარეშე დასაქმებისა და თვითდასაქმების აკრძალვა, შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების/უცხოელის დასაქმების წინაპირობები და პროცედურები, ასევე ამგვარი შრომითი უფლების შეწყვეტის წესები. ცვლილებები შევიდა შრომითი უფლების განხორციელების და უცხოელების დასაქმების აღრიცხვის, მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმებშიც და გაიზარდა ადმინისტრაციული ჯარიმები როგორც დამსაქმებლების, ისე დასაქმებული იმიგრანტების მიმართ, უცხოელების შრომითი უფლების გარეშე დასაქმების, ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და მოდიფიცირების შეუტყობინებლობის შემთხვევებში და სხვ. (07-3/69/11, იხ. განმ. აქ);

- **2025 წლის 2 ივლისის ცვლილებებით** - კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის გამოვლენის ან/და მისი საცხოვრებელი ადგილის გადამოწმების/ დოკუმენტის მოძიების მიზნით, შსს უფლებამოსილი გახდა შეამოწმოს უცხოელის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი ან შევიდეს სხვაგვარ კერძო საკუთრებაში, მფლობელობაში სასამართლოს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე (07-3/78/11, იხ. განმ. აქ);

- **2026 წლის 25 ივნისის ცვლილებებით** - კიდევ უფრო გამკაცრდა უცხოელების მიმართ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. შემოვიდა ახალი სავიზო კატეგორია არასრულწლოვნებისთვის, რომლებიც საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს, პროფესიულ ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობენ; დაზუსტდა და გამკაცრდა სასწავლო ბინადრობის გაცემისა და შეწყვეტის საფუძვლები; გამკაცრდა ქვეყნიდან გაძევების და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესები; შეიქნა საქართველოს მოქალაქეზე უცხოელის ფიქციური ქორწინების საწინააღმდეგო მექანიზმი - ქართველ მოქალაქესთან ქორწინებით ბინადრობა გაიცემა 1 წლით, გაგრძელებადი წლობით მაქს. 5 წლამდე, შემდეგ - მუდმივი ბინადრობა იქმნება უწყებათაშორისი კომისია რომელიც გასაუბრებით/შემოწმებით ადგენს ქორწინების ნამდვილობას. საეჭვო გარემოებების შემთხვევაში საქმე გადაეცემა საგამოძიებო ორგანოებს. გაიზარდა ბინადრობაზე უარის საფუძვლები და მომსახურების მისაღებად კანონიერად ყოფნის ცნობის წარდგენა შეიძლება გახდეს საჭირო (333/2-XIმპ, იხ. განმ. აქ).

სხვა უფლებრივი შეზღუდვები

საანგარიშო პერიოდში "ქართული ოცნების" პარლამენტმა ასევე მიიღო რამდენიმე ცვლილება, რომლებიც ზემოთ განხილულ ძირითად მიმართულებებს არ მიეკუთვნება, თუმცა ცალკეული უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებასა და დემოკრატიულ მმართველობაზე. ცვლილებები შეეხო როგორც საარჩევნო უფლებების განხორციელებას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, ისე საჯარო თანამდებობის პირების სამართლებრივ სტატუსს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებულ სფეროებს არეგულირებს, თითოეული მათგანი მნიშვნელოვნად ცვლის ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებულ სამართლებრივ ბალანსს და, ცალკეულ შემთხვევებში, პირდაპირ უგულებელყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის არსებული სტანდარტებს. კერძოდ,

- **2025 წლის 17 დეკემბერს - პარლამენტმა მიიღო ახალი საარჩევნო კოდექსი,** რომლის ყველაზე საგანგაშო ცვლილებით, ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ფაქტობრივად ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება (200/3-XIმპ, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 17 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი - "კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის შესახებ",** რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი 14 წლამდე ასაკის ბავშვების მიმართ სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას ითვალისწინებს. კანონი ვრცელდება არასრულწლოვანზე, რომლის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დასტურდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა და ამ ქმედების ჩადენამდე მას არ შესრულებია 14 წელი. იუსტიციის სამინისტროსთან ფუძნდება სსიპ - "კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ცენტრი" სადაც მოხდება იმ ბავშვების გადამისამართება, რომლის მიმართაც პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადასტურდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის პროცესი მოიცავს: მის ცენტრში გადამისამართებას, მდგომარეობისა და ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებას, შესაბამის სერვისებში ან პროგრამებში ჩართვას და ამ პროგრამებში მისი მონაწილეობისა და შემდგომი მდგომარეობის მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვნის გადაყვანა შეიძლება მოხდეს რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში (196/3-XIმპ, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 11 ნოემბრის ცვლილებით** - თანამდებობის პირს, რომელმაც ჩაიდინა სამოხელეო ან ფინანსური სარგებლის მიღებასთან დაკავშირებული დანაშაული, 30 წლის განმავლობაში აქვს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულება (152/3-XIმპ, იხ. განმ. აქ).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მე-11 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი და მასშტაბური მიმართულება ქვეყანაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებზე სისტემური შეტევა იყო. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფაქტობრივად კრიმინალიზაციის, დამოუკიდებელი კრიტიკული ორგანიზაციებისა და ოპოზიციური სპექტრიც დევნისა და დასუსტების,

აკადემიის პოლიტიკური დამორჩილებისა და სხვა უფლებრივი შეზღუდვების შედეგად, სახელმწიფომ თანმიმდევრულად გააფართოვა კონტროლისა და ჩარევის მექანიზმები, ხოლო ცალკეულ სფეროებში მნიშვნელოვნად შეამცირა კრიტიკულად განწყობილი ინდივიდების და სხვა დამოუკიდებელი აქტორების თავისუფალი მოქმედების სივრცე, რაც მისი ავტოკრატიული შემობრუნების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ინდიკატორია.

ძალაუფლების აღმასრულებელ შტოში კონცენტრაცია

საანგარიშო პერიოდში საპარლამენტო საქმიანობამ გაზარდა აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება, მათ შორის, თავად პარლამენტის უფლებამოსილებების ხარჯზე. მიღებულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო პოლიტიზირებული/აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებული გახადა სასამართლო ხელისუფლება, საგამოძიებო ორგანოები, დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტები, ზოგადად საჯარო სამსახური და ისეთი პროფესიული და ტექნოკრატიული ორგანოებიც კი, როგორიცაა, იურიდიული დახმარების და სტატისტიკის ეროვნული სამსახურები. კიდევ უფრო პრობლემური გახდა საარჩევნო სისტემის მიუკერძოებლობა. საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო უფლებების არსებითი შეზღუდვის პარალელურად, კანონმდებელმა უკან წაიღო არჩევნების დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად წინა წლებში დანერგილი ისედაც მცირე გარანტიები, შეზღუდა დამკვირვებლებისა და მედიის ჩართულობა და საარჩევნო ადმინისტრაციაზე მმართველი პოლიტიკური ძალის კონტროლის ბერკეტები გაძლიერა.

აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების ზრდა პარლამენტის ხარჯზე

- **2025 წლის 13 მაისს მიღებული** ახალი რეგლამენტი, <u>პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და რეგლამენტის ახლებულად სისტემატიზაციის მოტივით</u>, აღარ ცნობს მინისტრის საათს, თემატური მოკვლევის ინსტრუმენტს, მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოებს (მაგ. გენდერული თანასწორობის, ღია მმართველობის, და ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოებს), აღარ არსებობს საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სავალდებულო ჩართულობის მოთხოვნაც (<u>07-3/49/11</u>, იხ. განმ. <u>აქ</u>).

- **2024 წლის 12 დეკემბრის ცვლილებებით**, <u>მოქნილობის მოტივით</u> საპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების ხელმძღვანელები და შემადგენლობები პარლამენტის დადგენილების ნაცვლად დამტკიცდება საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით ბიუროს მიერ (<u>07-3/2/11</u>, იხ. განმ. <u>აქ</u>).

- **2026 წლის 28 აპრილს მიღებული ცვლილებით,** დასაბუთების გარეშე, იურიდიული დახმარების საბჭო პარლამენტის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრის წინაშე გახდა ანგარიშვალდებული (<u>265/3-XIმპ</u>, იხ. განმ. <u>აქ</u>).

- **2026 წლის 1 აპრილს მიღებული ცვლილებით,** <u>კანონმდებლობის დახვეწის და ინსტიტუტების მართვის ეფექტიანობის ზრდის მოტივით</u> სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ხელმძღვანელის და საბჭოს წევრების დანიშვნის კომპეტენცია პარლამენტიდან პრემიერ-მინისტრზე გადავიდა (<u>277/3-XIმპ</u>, იხ. განმ <u>აქ</u>).

- პარლამენტი ოპოზიციის წინააღმდეგ პროპაგანდის ინსტრუმენტად იქნა გამოყენებული (იხ. <u>დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობა</u>).

სასამართლო კლანის გაძლიერება

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრობლემა საქართველოში წლების განმავლობაში რჩებოდა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კრიტიკის საგნად. მიუხედავად სხვადასხვა ეტაპზე განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმებისა, ისინი ვერ უზრუნველყოფდა სასამართლოში არსებული არაფორმალური გავლენების შემცირებასა და ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ავტორიტარული კონსოლიდაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, როდესაც სასამართლომ მმართველი პარტიის რეპრესიული პოლიტიკის განხორციელებაში სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეიძინა, პარლამენტმა 2025 წელს სასამართლო სისტემის სამართლებრივი ჩარჩო კიდევ უფრო შეცვალა. მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაძლიერდა სასამართლო სისტემაში გავლენიანი ჯგუფის პოზიციები, კიდევ უფრო დასუსტდა ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიები, გაუარესდა სასამართლოს გამჭვირვალობის სტანდარტები და დემონსტრაციულად გაუქმდა ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების მიზნით წინა წლებში განხორციელებული ისედაც შეზღუდული რეფორმები.

- **2025 წლის 17 დეკემბრის მასშტაბური საკანონმდებლო რეფორმით** - დემონსტრაციულად გაუქმდა ევრორეკომენდაციების შესრულების პროცესში კანონმდებლობაში შესული ისედაც მწირი ცვლილებები (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ერთდროულად არჩევაზე დადგენილი დროითი შეზღუდვები, დისციპლინური გადაცდომების შინაარსის დახვეწა და სხვ.). ამასთან, არსებითად შეიცვალა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე და მოსამართლე წევრთა თანაფარდობა (უკანასკნელის სასარგებლოდ), არამოსამართლე წევრების პარლამენტის მიერ არჩევის წესი, დაბრუნდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე პირების დუბლირების შესაძლებლობა, გაიზარდა სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების უფლებამოსილებები და ვადები, გაუქმდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი, შეიცვალა მოსამართლეთა არჩევისა და მივლინების წესები, მათი დაწინაურების შესაძლებლობების მომწესრიგებელი ნორმები, გაიზარდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და მთლიანი პროცესი გახდა მკაცრად კონფიდენციალური, გაიზარდა მოსამართლის ხელფასის დაქვითვის, როგორც დისციპლინური სახდელის, ზღვრული მაჩვენებლები და მოქმედების ვადა; მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსამართლეების ხელფასები, თუმცა იმავდროულად გამკაცრდა მოსამართლესთან გარე პირების კომუნიკაციის შესაძლებლობა, ასევე მის მიერ სამეცნიერო/პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობაზე გახდა დამოკიდებული; ბოლოს მნიშვნელოვნად გაუარესდა სასამართლოში გამჭვირვალობის და საჯაროობის სტანდარტები, ხელმისაწვდომი აღარ არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი, სასამართლოს გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ საბოლოო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ (201/3-XIმპ, იხ. განმ. აქ); ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო პროცესები დაიხურა

მედიებისათვის და მათზე დაშვება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებართვაზე გახდა დამოკიდებული.

აღმასრულებელ ხელისუფლების შიგნით ძალაუფლების ცენტრალიზება

პროკურატურა

- **2024 წლის 6 დეკემბრის ცვლილებით,** კონსტიტუციური ორგანოების უფლებამოსილების შეზღუდვის აღმოფხვრის მოტივით, საპროკურორო საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატის გენერალურ პროკურორად არჩევა პარლამენტის მიერ ღია კონკურსის გარეშე მოხდება (07-3/66/11, იხ. განმ. აქ).

- **2025 წლის 24 ივნისის ცვლილებით,** გამოძიების ხარისხის ზრდის მოტივით, გაუქმდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება საქართველოს პროკურატურის კომპეტენციაში დაბრუნდა (07-3/60/11, იხ. განმ. აქ). სპეციალური საგამოძიებო სამსახური 2022 წელს შეიქმნა, რომელმაც, თავის მხრივ დაჩქარებული წესითა და კონსულტაციების გარეშე, 2019 წელს შექმნილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მის ხელმძღვანელთან ერთად ჩაანაცვლა. ზედიზედ ორი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმებით, რომლებიც მეტნაკლები ინსტიტუციური ავტონომიით სარგებლობდნენ, კიდევ უფრო გართულდება სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ობიექტური გამოძიება.

იურიდიული დახმარების სამსახური

- **2026 წლის 4 მარტის ცვლილებით,** იურიდიული სამსახური საქმიანობისა და მისი კონტროლის ეფექტიანობის გაუმჯობესების მოტივით, სამსახურის საბჭოს შემადგენლობაში შემცირდა დამოუკიდებელი წევრების წილი, საბჭოს ნაცვლად იურიდიული სამსახურის დირექტორს დანიშნავს პრემიერ-მინისტრი, და სამსახური ანგარიშვალდებულიც მის წინაშე იქნება (250/3-XIმ, იხ. განმ. აქ).

სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

- საქსტატის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დაქვემდებარებასთან ერთად, **2026 წლის 4 მარტის ცვლილებით,** პროფესიონალიზმის, ნდობის და ინსტიტუციური სტაბილურობის გათვალისწინების მოტივით, საქსტატის ხელმძღვანელის ორზე მეტი ვადით დანიშვნის შესაძლებლობა გაჩნდა (251/3-XIმ3, იხ. განმ. აქ);

დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტები

- **2026 წლის 13 დეკემბრის ცვლილებით,** რესურსების ოპტიმიზაციის მოტივითა და სააგენტოს ეფექტიანობისთვის მისი ინსტიტუციური მოწყობის არარელევანტურობაზე დათქმით, გაუქმდა გადადებული კონკურენციის სააგენტოს რეფორმა (07-3/4/11, იხ. განმ. აქ).

- **2025 წლის 24 ივნისის ცვლილებებით,** კონსტიტუციით განსაზღვრული ორგანოში ფუნქციების გადასვლის მოტივით, გაუქმდა **ანტიკორუფციული ბიურო** და

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური და მათი ფუნქციები ინტეგრირდა აუდიტის სამსახურთან (198/3-XIმპ, იხ. განმ. აქ).

- **2025 წლის 17 დეკემბრის ცვლილებებით,** ფუნქციური დუბლირების აღმოფხვრის მოტივით, გაუქმდა ბიზნესომბუდსმენი (199/3-XIმპ, იხ. განმ. აქ);

საჯარო სამსახური

- უფლებების გარდა, საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაცია, ადმინისტრაციული ხელშეკრებულებით დასაქმებულების ზრდა და საჯარო მოხელეების სხვა უფლებების შეზღუდვა (იხ. ზემოთ) ემსახურებოდა საჯარო სამსახურის პოლიტიზირებასა და მთავრობის მიერ ძალაუფლების კონცენტრაციას. ამაზე მიანიშნებდა ოფიციალური დასაბუთების აბსურდულობაც, რომელიც ბიუროს ლიკვიდაციას 2025-2028 წლების საჯარო სამსახურის რეფორმაში მთავრობის ადმინისტრაციის უშუალო ჩართულობისა და უფრო ეფექტიანი კოორდინაციის ინტერესით ხსნიდა, იმის განუხილველად თუ რა ზიანი შეიძლება მოეტანა საჯარო სამსახურის მანამდე განხორციელებულ რეფორმებში გამოცდილი სპეციალიზებული ორგანოს ლიკვიდაციას (07-2/20/11, განმ. იხ. აქ).
- საჯარო სამსახურის პოლიტიზირების მიზანი გამოჩნდა **2025 წლის 13 მაისის ცვლილებებით** ეფექტიანობის ზრდის მოტივით მთავრობის ადმინისტრაციისთვის დამატებულ უფლებამოსილებაშიც, ზედამხედველობა გაუწიოს არამარტო მთავრობის არამედ, ფართო გაგებით აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების შესრულებას (07-2/30/11, განმ. იხ. აქ).

სხვა ფუნქციების მთავრობაში/სამინისტროებში ინტეგრირება/დაბრუნება

- **2025 წლის 25 ივნისის ცვლილებებით**, საპარლამენტო მმართველობის მოდელით და ეფექტიანი კოორდინაციის გაზრდის მოტივით დასაბუთდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო გაუქმება და მისი ფუნქციების მთავრობაში ინტეგრირება (07-2/58/11, განმ. იხ. აქ);
- **2025 წლის 13 მაისის ცვლილებებით,** სასარგებლო წიაღისეულის ეფექტიანი მართვის მოტივით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ფუნქციები ინტეგრირდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (07-3/44/11, იხ. განმ. აქ).
- **2026 წლის 17 მარტის ცვლილებებით**, ეფექტიანი მმართველობის განხორციელებისა და რესურსების ოპტიმიზაციის მოტივით, გაუქმდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი (07-2/56/11 იხ. განმ. აქ) და სპეციალური სასწავლო პროგრამის ჩატარებისა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის უფლებამოსილება ინტეგრირდა საგარეო საქმეთა სამინისტროში..

საარჩევნო სისტემა

საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა მნიშვნელოვნად შეცვალა საარჩევნო კანონმდებლობაც. განხორციელებული ცვლილებები გასცდა ცალკეული ტექნიკური საკითხების მოწესრიგების ფარგლებს და შეეხო როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებისა და გადაწყვეტილებების მიღების წესს, ისე არჩევნებზე დაკვირვების, საჩივრების განხილვისა და ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებების განხორციელების მნიშვნელოვან ასპექტებს.

ცვლილებების შედეგად ეტაპობრივად გაუქმდა არჩევნების დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად წინა წლებში დანერგილი არაერთი გარანტია, შეიზღუდა დამკვირვებლებისა და მედიის შესაძლებლობები და გაძლიერდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაზე მმართველი პოლიტიკური ძალის გავლენის რისკები. ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებით, აღნიშნულ პროცესს თან დაერთო საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო უფლებების არსებითი შეზღუდვა, რამაც საარჩევნო უფლებების დაცვის არსებული კონსტიტუციური სტანდარტები კიდევ უფრო შეასუსტა.

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით** - გაუქმდა საარჩევნო კოდექსში 2021 წელს განხორციელებული ყველა ის ინიციატივა, რომელიც მიღებული იყო "შარლ მიშელის შეთანხმების" ფარგლებში და ხელისუფლებას საარჩევნო პროცესზე ტოტალური კონტროლის მოპოვების შესაძლებლობას უზღუდავდა (07-3/15/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 4 მარტის ცვლილებებით** - "2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოვლენები ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით", მათ შორის, შეიცვალა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის/დანიშვნის კრიტერიუმები; დადგინა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და ადგილობრივ დამკვირვებელთა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დანიშვნის ახალი კრიტერიუმები; საარჩევნო სუბიექტს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მსგავსად, უფლება მიეცა კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 1 წარმომადგენლისა; დამკვირვებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელს და დამკვირვებელს შეეზღუდათ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება (07-3/19/11, იხ. განმ. აქ);
- **2025 წლის 17 დეკემბერს მიღებული ახალი საარჩევნო კოდექსით** - ემიგრანტებისთვის ხმის უფლების ფაქტობრივად ჩამორთმევასთან ერთად, 20 სხვადასხვა შინაარსობრივი ცვლილება დაინერგა. მათ შორის, წარდგენილი საჩივრის დასაშვებობაზე ცენტრალური და საოლქო კომისიების ნაცვლად ამავე კომისიების თავმჯდომარეები ერთპიროვნულად იღებენ; საუბნო საარჩევნო კომისიებს აღარ აქვთ ამომრჩეველთა ბარათების დარიგების ვალდებულება (რაც უბნების საზღვრების ცვლილებების პირობებში ართულებს ამომრჩევლის მობილიზებას); პარტიულ სიებში შესაძლოა იყოს მხოლოდ ამ პარტიის წევრი; პოლიტიკური პარტიების აკრძალვის საკანონმდებლო შედეგები აისახა ახალ კოდექსში; ასევე, კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის შენობიდან გაძევებულ პირს აეკრძალება ყველა სხვა კენჭისყრის შენობაში შესვლა, ხოლო გაძევებულ პირთა შესახებ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია აწარმოებს გაძევებულ პირთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზას (რაც დამკვირვებლებისთვის ისედაც მტრული გარემოს პირობებში ხელისშემშლელი შესაძლოა აღმოჩნდეს მათი საქმიანობისთვის; დაზუსტდა უბანზე ფოტოვიდეოგადაღების წესები და გაიწერა, რომ ეს უკანასკნელი არ გულისხმობს აუდიომონიტორინგს. ეს შეზღუდვა ვრცელდება უბანზე მყოფ ყველა უფლებამოსილ პირზე და მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცევა დამკვირვებლებისა და მედიისათვის (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენტრალური საარჩევნო კომისიის 2025 წლის 3 აპრილის N22/2025 დადგენილებით, საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელთა თავისუფალი

გადაადგილება, ამომრჩევლის პირადობის დოკუმენტის დათვალიერება და აღმოჩენილი დარღვევების დოკუმენტირება შეიზღუდა პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით) (200/3-XIმპ, იხ. განმ. აქ).

პერსონალური სარგებელი და კლიენტელიზმი

საანგარიშო პერიოდში კანონშემოქმედება კიდევ ორი მიმართულებით გააქტიურდა: თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებს გაეზარდათ ბენეფიტები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ზემდგომის "კეთილგანწყობაზე" გახდა დამოკიდებული; ასევე გაიზარდა (მხარდაჭერის/პოლიტიკური ერთგულების სანაცვლოდ) პრეფერენციული მოპყრობის შესაძლებლობები (ე.წ. კლიენტელიზმი), მაგალითად, სამშენებლო ბიზნესში ჩართული პირებისთვის.

ხელფასების/შემოსავლის ზრდა

- **2026 წლის 23 ივნისის ცვლილებებით,** ზემდგომის თანხმობით, სახელფასო დანამატისა და ფულადი ჯილდოს მიღების შესაძლებლობა ექნებათ საქართველოს მთავრობის წევრის მოადგილეს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრთა მოადგილეებს, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (303/2-XIმპ, იხ. განმ. აქ). საჯარო სამსახურის პოლიტიზირების მიზანს უწყობს ხელს სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის ზემდგომის თანხმობაზე დამოკიდებულებაც (იხ. ზემოთ).
- **2025 წლის 13 მაისის ცვლილებებით,** ანაზღაურება გაეზარდათ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებსა და სტიპენდიატებს (07-3/45/11, იხ. განმ. აქ).

- **2025 წლის 17 დეკემბრის ცვლილებებით,** მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის ჯანმრთელობის დაზიანებისთვის (მძიმე დაზიანებისთვის - 20 000 ლარი ნაცლად 7 000-ისა, ნაკლებად მძიმესთვის - 15 000 ლარი ნაცვლად 4 000-ისა და მსუბუქსითვის 10 000 ლარი ნაცვლად 2000-ისა) და სახელმწიფომ იკისრა შესაბამის სამედიცინო მომსახურებასთან, მათ შორის, რეაბილიტაციასთან და სხვა საჭიროებებთან დაკავშირებული ხარჯების სრულად დაფარვა (191/2-XIმპ, იხ. განმ. აქ).

აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის საანგარიშო პერიოდამდე 2023 წელს მიღებული ცვლილებებით 2025 წლიდან ხელფასები გაეზარდათ პარლამენტის წევრებს (დაკავებული თანამდებობის მიხედვით, ყოველთვიური ხელფასი 11 680 - 14 600 ლარით განისაზღვრა).

მხარდამჭერი ბიზნესების სავარაუდო პრეფერენციული მოპყრობა

- აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალაუფლების კონცენტრაციასთან ერთად, კონკურენციის სააგენტოს რეფორმის გადადებამ და ანტიკორუფციული ბიუროს გაუქმებამ (იხ. ზემოთ) ხელი შეუწყო მმართველი გუნდის მხარდამჭერების პრეფერენციულ მოპყრობას.

- **2026 წლის 10 ივნისის ცვლილებით,** ევროკავშირში ამ მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებების გამო "საკანონმდებლო სივრცის ერთიანობისა და უწყვეტობის

შენარჩუნების მოტივით" 2030 წლამდე გადაიდო ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით საჯარო შესყიდვების კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც თავად კანონმდებლის აღწერით ემსახურებოდა "ეფექტიანი მექანიზმების განსაზღვრა[ს] საჯარო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურად, გამჭვირვალედ და კანონის მოთხოვნათა დაცვით ხარჯვის უზრუნველსაყოფად." [335/2-XIმპ, იხ. განმ აქ]

- **2025 წლის 14 ნოემბრის ცვლილებით** შექმნილმა სსიპ ცენტრალურმა შემსყიდველმა ორგანომ დამატებით კლიენტელური ქსელის ცენტრალიზებული მართვის შესაძლებლობა შექმნა. მოქნილობის უზრუნველყოფის მოტივით, თავად ცენტრალური შემსყიდველი ორგანო თავის საქმიანობის ფარგლებში შესყიდვების განხორციელებისას გათავისუფლდა შესყიდვებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვის ვალდებულებისგან; შესაძლებელი გახდა ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ერთი დაფინანსების წყაროდან ცალცალკე შესყიდვა ელექტრონულად (რაც აქამდე სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფად განიხილებოდა) [184/2-XIმპ, იხ. განმ. აქ].

- **2025 წლის 11 ნოემბრის ცვლილებებით,** ოპტიმიზაციის მოტივით, მოიხსნა დიფერენციაცია სხვადასხვა კატეგორიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვის ფორმებთან (აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, მესამე პირის მეშვეობით, განაწილებით, განადგურებით და ლიზინგის ფორმით) დაკავშირებით და ყველა კატეგორიის შემთხვევაში შესაძლებელი გახდა ნებისმიერი ფორმის გამოყენება; გაჩნდა შეძენილი სახელმწიფო ქონების იპოთეკით დატვირთვის დამატებითი სამართლებრივი საფუძველი (07-2/57/11, იხ. განმ. აქ).

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** სამშენებლო პროცესების ხელშეწყობის მოტივით, იმ **სამშენებლო კომპანიებისთვის**, რომლებსაც არც შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო პროცედურები განუხორციელებიათ და არც სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განკუთვნილი მოსაკრებელი გადაუხდიათ (სულ 10 კომპანია), მოსაკრებლის გადანაწილების ვადა გაგრძელდა ჯერ 2028 (07-3/10/11, განმ. იხ. აქ), ხოლო **2025 წლის 16 ოქტომბრის ცვლილებებით** - 2029 წლამდე (158/3-xi, განმ. იხ. აქ); ამავე დროს, სამშენებლო კომპანიებისთვის გადაიდო ფინანსური პასუხისმგებლობა მშენებლობის განსაზღვრული ეტაპების დაუსრულებლობისთვის (231/3-XIმპ, იხ. განმ. აქ);

- **2025 წლის 18 მარტის ცვლილებებით,** შესაბამისი ლაბორატორიის მოწყობისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით, თამბაქოს მწარმოებლების მიერ ლიცენზიის აღების ვადამ გადაიწია (07-3/36/11, იხ. განმ. აქ).

- **2025 წლის 13 მაისის ცვლილებებით,** მოქნილობის უზრუნველყოფის მოტივით, მადნეული რესურსებისა და მინერალური წყლის სასარგებლო წიაღისეულზე (სხვა წიაღისეულის მსგავსად) ლიცენზიისთვის აუქციონის გამოცხადებიდან ჩატარებამდე კონკრეტული ვადის განსაზღვრის მოთხოვნა მოიხსნა და ვადის განსაზღვრის უფლებამოსილება ლიცენზიის გამცემს მიენიჭა (07-2/408/10, იხ. განმ. აქ).

- **2025 წლის 12 ნოემბრის ცვლილებებით,** ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მოტივით, საგადასახადო შეღავათების მოქმედება გაგრძელდა, მათ შორის,

ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მიერ ფასიანი ქაღალდებიდან მიღებულ შემოსავალზე, უძრავი ქონების მიწოდების დაბეგვრაზე, ამასთან, საინვესტიციო ოქროს მიწოდება და იმპორტი გათავისუფლდა დღგ-ს გადასახადისგან (180/2-XIმპ, იხ. განმ. აქ).

პოზიტიური დღის წესრიგის გაქრობა

დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობისთვის რეგრესული ცვლილებების გარდა, მმართველ პარტიას არ ჰქონია კანონშემოქმედების პოზიტიური დღის წესრიგი და უკვე დაგეგმილი ღონისძიებებიც კი - რეგულაციები და რეფორმები, მათ შორის, პოლიტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება, მესამე პირების ვალდებულებები - გადადო ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ბავშვთა და პატიმართა უფლებები, საჯარო შესყიდვები და კორუფციასთან ბრძოლა, გარემო და სამოქალაქო უსაფრთხოება, ჯანდაცვა, დაგეგმარება/მშენებლობა, განათლება, რეგიონალური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი. როგორც წესი, გადადების ოფიციალური მიზეზები იყო ეფექტიანი, ყოვლისმომცველი, კოორდინირებული მუშაობის და მესამე პირების შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფა, რიგ შემთხვევებში, დამატებით, მწირ რესურსებსა/არარსებულ ტექნიკურ აღჭურვილობაზე მითითებით. ეს მიზეზები ცალსახად არაპროპორციული იყო დაზიანებულ ინტერესებთან მიმართებით. მაგალითად, პატიმრებისთვის ხანმოკლე პაემნის ვიდეო პაემნით ჩანაცვლება გადაიდო ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობის გამო (იხ. აქ). ამასთან, აღნიშნული ღონისძიებები გადაიდო არაგონივრული ვადებით. მაგალითად, 8 წლით გადაიდო, სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავება (იხ. აქ), და 3 წლით - სამოქალაქო უსაფრთხოების პოლიტიკის მარეგულირებელი აქტების მიღება (იხ. აქ). ამასთან, პარლამენტმა არაეფექტიანობასა და ხარჯების დაზოგვის ინტერესებზე მითითებით, ალტერნატივის შეთავაზების გარეშე გააუქმა არაერთი სახელმწიფო ინსტიტუტი.

რეგულაციების/რეფორმების გადადება

საჯარო შესყიდვები და კორუფციასთან ბრძოლა

- როგორც აღვწერეთ, 2030 წლამდე გადაიდო მნიშვნელოვანი ცვლილებები **საჯარო შესყიდვების სფეროში,** რომელსაც კორუფციისა და კლიენტელიზმის რისკები უნდა შეემცირებინა, ხოლო ჯერ 2027 წლამდე გადაიდო და საბოლოოდ სრულიად გაუქმდა კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურისა და მართვის ახალი მოდელის ამოქმედება (იხ. ზემოთ).

გარემო და სამოქალაქო უსაფრთხოება

- **2025 წლის 16 დეკემბრის ცვლილებებით,** 3 წლით გადაიდო იმ ნორმატიული აქტების მიღება, რომლებსაც სამოქალაქო უსაფრთხოების პოლიტიკა, მათ შორის, ამ სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელი პირები უნდა განესაზღვრათ (239/2-XIმპ, განმ. იხ. აქ).
- **2025 წლის 25 ნოემბრის ცვლილებებით,** რესურსების სიმწირის გამო, გადაიდო სოციალური მიზნებისთვის ხის ჭრის შეზღუდვა, რომელიც ტყის მართვის ორგანოების

მხრიდან მერქნული რესურსის მოსახლეობის მიწოდების სერვისით უნდა ჩანაცვლებულიყო (214/2-xiმპ, განმ. იხ. აქ).

- **2025 წლის 10 დეკემბრის ცვლილებებით,** გადაიწია რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ კანონქვემდებარე აქტების მიღების და ამ საქმიანობის განმახორციელებელი პირების რეგისტრაციის ვადებმა (228/2-xiმპ, იხ. განმ. აქ).
- **2026 წლის 9 ივნისის ცვლილებებით,** გადაიდო ჭარბი წყლის მართვასთან (სადრენაჟო, დამშრობი ქსელით მოცილება, ტრანსპორტირება და გარემოში ჩაშვება) დაკავშირებული სადრენაჟო მომსახურების ტარიფის მარეგულირებელი კანონპროექტის მომზადება (338/2-XIმპ, განმ. იხ. აქ).
- **2026 წლის 24 ივნისის ცვლილებებით,** გადაიდო ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვისა და მდგრადი გამოყენების მარეგულირებელი კანონის გარკვეული მუხლების ამოქმედებისა და რიგი კანოქვემდებარე აქტების მიღების ვადები (306/2-XIმპ, განმ. იხ. აქ).
- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** გადაიდო ტრანსპორტის მაურის მარეგულირებელი ნორმების ამოქმედება (07-2/7/11, იხ. განმ. აქ).
- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** პირებს, რომელთა საქმიანობის შედეგად განსაზღვრული რაოდენობის არასახიფათო, ინერტული ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფართო ნარჩენები წარმოიქმნება, გარემოსდაცვითი მმართველის დანიშვნის, ნარჩენების მართვის გეგმის შედგენისს, აღრიცხვის და ანგარიშგების წარმოების ვალდებულებები გადაუვადდებათ (07-2/10/11, იხ. განმ. აქ).

ჯანდაცვა

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** ექთნების და მეანი-ექთნების პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების ამოქმედება გადაიდო (07-3/7/11, იხ. განმ. აქ).
- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** ორგანოთა გადანერგვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ამოქმედება გადაიდო (07-3/8/11, იხ. განმ. აქ).
- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** გადაიდო სისხლის გადასხმის ბანკების არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად (ააიპ) რეგისტრაციის ვადები (07-3/3/11, იხ. განმ. აქ).
- **2025 წლის 16 დეკემბრის ცვლილებებით,** მწირი ადამიანური რესურსების გამო არასერტიფიცირებული ექთნების სისტემაში შენარჩუნების მოტივით, სერტიფიკატის გარეშე დამოუკიდებელი საექთნო საქმიანობის აკრძალვა გადაიდო (232/2-xiმპ, იხ. განმ. აქ)
- როგორც ზემოთ აღვწერეთ კლიენტელიზმის საფრთხეების განხილვისას, თამბაქოს მწარმოებლებს გადაუვადდათ ლიცენზირების ვადები.

დაგეგმარება/მშენებლობა

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** ჯერ სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების პროექტების მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავება გადაიდო 2028 წლამდე (07-2/12/11, იხ. განმ. აქ), ხოლო **2025 წლის 3 სექტემბრის**

ცვლილებებით, ასეთი გეგმების შემუშავებაზე თავად მუნიციპალიტეტების ვალდებულებაც გადაიდო 2036 წლამდე (07-2/67/11, იხ. განმ. აქ).

- **2025 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებით,** არქიტექტორების და ინჟინერ-მშენებლების სერტიფიცირების რეგულაციები გადაიდო ჯერ 2026 წლის სექტემბრამდე (156/3-xiპმ, იხ. განმ. აქ), **2026 წლის 9 ივნისის ცვლილებებით** კი - 2026 წლის დეკემბრამდე (331/3-XIმპ, იხ. განმ. აქ).
- როგორც ზემოთ კლიენტელიზმის საფრთხეების განხილვისას აღვწერეთ, სამშენებლო კომპანიებს გადაუვადდათ ფინანსური პასუხისმგებლობები სხვადასხვა მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის.

განათლება

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** მწირი ადამიანური რესურსების გამო პრაქტიკოსი სპეციალისტემის სისტემაში შენარჩუნების მოტივით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მასწავლებლების სერტიფიცირების ვადამ გადაიწია (07-2/11/11, იხ. განმ. აქ).

რეგიონალური პოლიტიკა

- **2025 წლის 11 ნოემბრის ცვლილებებით,** 2031 წლამდე გახანგრძლივდა დრო მუნიციპალიტეტებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების დასასრულებლად (175/2-xiმპ, იხ. განმ. აქ).
- **2025 წლის 10 დეკემბრის ცვლილებებით,** გადავადდა ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოში „ინტეგრირებული ადმინისტრირებისა და კონტროლის ერთიანი ელექტრონული სისტემის“ დანერგვისთვის საჭირო რიგი კანონქვემდებარე აქტების მიღება (219/2-xiმპ, განმ. იხ. აქ).

სოფლის მეურნეობა

- **2025 წლის 18 მარტის ცვლილებებით,** ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციის დასრულება გადაიდო, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ეროზიისგან დაცვის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას (07-2/19/11, იხ. განმ. აქ).

ტურიზმი

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** გადაიწია "საკურორტო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის პარლამენტში წარდგენის, ასევე არაერთი კანონქვემდებარე აქტის შემუშავების ვადებმა 2026 წლამდე; ამასთან, გადავადდა ტურისტული საქმიანობის სუბიექტების გარკვეული ვალდებულებები, მათ შორის, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება (07-3/6/11, იხ. განმ. აქ). **2025 წლის 19 დეკემბრის ცვლილებებით,** "საკურორტო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის პარლამენტში წარდგენის ვადამ კიდევ ერთხელ გადაიწია ამჯერად 2027 წლამდე (225/2-xiმპ, იხ. განმ. აქ).

ბავშვთა უფლებები

- **2025 წლის 6 თებერვლის ცვლილებებით,** ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული კოორდინაციის მექანიზმის, მონაცემთა ანალიზისა და შეგროვების მოწესრიგება გადავადდა (07-3/18/11, იხ. განმ. აქ).

პატიმართა უფლებები

- **2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით,** ტექნიკური აღჭურვილობების არარსებობის გამო პენიტენციურ დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნის ვიდეო პაემნით ჩანაცვლების უფლების ამოქმედება გადავადდა (07-2/9/11, იხ. განმ. აქ).

სახელმწიფო ინსტიტუტების გაუქმება ალტერნატივის გარეშე

- **2025 წლის 17 დეკემბრის ცვლილებებით,** "სამხრეთ ოსეთის" ტერმინის გამოყენებით არააღიარების პოლიტიკისთვის ზიანის პრევენციისა და ნაციონალური მოძრაობის შეცდომის გამოსწორების მოტივით, გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, რომელიც ახორციელებდა სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებს, სოციალურ და სამედიცინო მხარდაჭერას უწევდა დევნილებს, ისევე როგორც მონაწილეობდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში (203/3-XIმპ, იხ. განმ. აქ)
- **2025 წლის 6 თებერვლის ცვლილებებით,** მისი არაეფექტიანობისა და ხარჯების დაზოგვის მოტივით, გაუქმდა პარლამენტის კვლევითი ცენტრი (07-3/20/11, იხ. განმ. აქ).

კანონის ახალი "ფორმები"

კანონმდებლის მიზნის ძალაუფლების კონსოლიდაციაზე დავიწროებას მოჰყვა თავად კანონის ფორმების დეგრადაციაც, კერძოდ, კანონები უფრო და უფრო კარგავენ ზოგად ბუნებას და კონკრეტულ პირებს, ჯგუფებს და ორგანიზაციებს მიემართებიან. კანონის ფორმის ასეთი დეგრადაციის მაგალითებია:

- **2025 წლის 13 დეკემბერს** "სახელმწიფო დაცვის სამსახურის შესახებ" კანონში შესული ცვლილებები, რომლის თანახმად სახელმწიფო დაცვის უფლებიდან გამოირიცხებიან ის თანამდებობის პირები, რომელთა მიმართაც საკონსტიტუციო ასამართლომ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. ამ კანონის მიღებას მხოლოდ სალომე ზურაბიშვილის დაცვის ყოლის უფლებაზე შეიძლება ჰქონოდა გავლენა და მისი მიზანიც სწორედ ამ უფლების ჩამორთმევა იყო (იხ. აქ).
- **2025 წლის 16 ოქტომბრის** ცვლილებით, "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი" მსჯავრდებულს საქართველოდან გასვლას უკრძალავს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელ განაჩენში მითითების გარეშეც (161/3-xiმპ, განმ. იხ. აქ). ამ ცვლილების მიღება ემთხვევა გიორგი ბაჩიაშვილის სისხლის სამართლის საქმეს და განსაკუთრებით, მისი არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან თბილისში ჩამოყვანის გარემოებების გათვალისწინებით, აჩენს დასაბუთებულ ეჭვებს, რომ კანონმდებლის მიერ მითითებული ნეიტრალური მოტივების უკან, როგორიცაა რეგულირების დახვეწა და დაზარალებული პირებისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის სწრაფი და ეფექტური ანაზღაურება, მისი ქვეყნიდან გასვლის პრევენცია იდგა.

- **2025 წლის 3 სექტემბერის ცვლილებით** - ქონებრივი დანაშაულების ჩადენით დაზარალებული პირებისთვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მექანიზმი გამარტივდა. ამ მიზნით კანონმდებლობამ დაადგინა მსჯავრდებულის ქონებაზე ყადაღის დადების შესაძლებლობა, ასევე ზიანის ამოღება როგორც მსჯავრდებული პირის, ასევე მისი ახლო ნათესავისგან/დაკავშირებული პირისგან. ამასთან, ასეთ შემთხვევებში დაინერგა ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიების სახე, გასვლის ვადა კი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში 6 წელი, მძიმე დანაშაულისთვის – 12, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის 16 წელია (07-3/67/11, იხ. განმ. აქ).

თეორიული ჩარჩო

საანგარიშო პერიოდში უფლებებზე და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე თავდასხმა ძალაუფლების აღმასრულებელ შტოში კონცენტრაციის მიზნით საქართველოს იმ ქვეყნების რიგში აქცევს, რომლებიც კანონის მხოლოდ ფორმალისტურ-ტექნიკურ მახასიათებლებს ცნობენ, და მის ძალაუფლების შეზღუდვის ფუნქციას უგულებელყოფენ. ანალოგიურად, დაჩქარებული, შინაარსობრივი განხილვისა და აზრთასხვადასხვაობისგან დაცვლილი კანონშემოქმედება ავლენს "ქართული ოცნების" პარლამენტის დემოკრატიის დავიწროებულ გაგებას, რომელშიც განსხვავებული აზრი, პლურალიზმი საფრთხეა და არა დემოკრატიულობის წინაპირობა. ეს პროცესები საბოლოოდ საქართველოს ელექტორალურ ავტოკრატიად კატეგორიზაციითაც გაფორმდა (V-Dem Institute 2025; TI Georgia 2026).

ის სამართლებრივი და პოლიტიკური რეალობა, რომელშიც დღეს ქართული საზოგადოება ცხოვრობს, ირეკლავს უფრო ფართო ფენომენს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში თეორეტიზებულია 'ავტოკრატიული ლეგალიზმის' და 'თვალთმაქცური სამართლის' ჩარჩოს ფარგლებში, რომლებიც არა ძალაუფლების მოთვნიერებით (Krygier, 2017), არამედ მისი შენარჩუნებით არის დაინტერესებული.

ავტოკრატიული ლეგალიზმის/თვალთმაქცური სამართლის ფუნდამენტური მახასიათებელია დემოკრატიის, კონსტიტუციონალიზმისა და ლიბერალიზმის ურთიერთმიმართების გადააზრება, და დემოკრატიის მარტივ მაჟორიტარიზმე (უმრავლესობის მმართველობა) დავიწროება. დემოკრატია პოლიტიკური სისტემაა, სადაც მმართველი პოლიტიკური კლასი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე; კონსტიტუციური წესრიგი, თავის მხრივ, ავალდებულებს პოლიტიკურ ლიდერებსაც და ხალხსაც, რომ დამატებით შემოსაზღვრული იყვნენ კონსტიტუციური პრინციპებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებით. ამ მზღუდველების - განსაკუთრებით, დამოუკიდებელი და თავისუფალი მედიის, სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების, დამოუკიდებელი სასამართლოს და თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო სისტემის გარეშე, მარტივი მაჟორიტარიზმი თავად დემოკრატიას აყენებს საფრთხის ქვეშ. როგორც ამას ქართული რეალობაც აჩვენებს, ასეთი არალიბერალური დემოკრატიები მარტივად შეიძლება გადაიზარდონ ავტოკრატიულ მმართველობაში, სადაც არჩევნების გზით ძალაუფლების დაკარგვაც არაორდინალურად რთული ხდება.

ავტოკრატიული ლეგალიზმი, ან სხვანაირად "თვალთმაქცური სამართალი" ცვლის სწორედ ამ პარადიგმას და სამართლის მოთხოვნები დაჰყავს ტექნიკური კრიტერიუმების

შესრულებაზე (მაგ. კანონის ხმების საჭირო რაოდენობით მიღებაზე). ასეთი სამართალი დაშორებულია სამართლის მიზნისგან - შეზღუდოს ძალაუფლება და მისი ფორმებისგანაც - იყოს ზოგადი მოქმედების და არ მიემართებოდეს პირთა "მიზანში ამოღებულ" წრეს (ე.წ. ad hominem, მიკერძოებული კანონები); არ იყოს განუჭვრეტელი და თვითნებობის რისკები შემცველი, მუდმივად არ იცვლებოდეს (Fuller, 1969). ასეთ სისტემებში სამართლის უზენაესობის პრინციპებისგან დაცლილი კანონი გამოიყენება ისეთი არაკეთილსინდისიერი მიზნებით, როგორიცაა, სასამათლო შტოს და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის მოშლა, თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, აკადემიის, ოპოზიციის განადგურება, პერსონალური სარგებელი ან/და კლიენტელური/კორუფციული ქსელების გამყარება. ამ მიზნებს ავტოკრატები აღწევენ როგორც კანონმდებლობის/კონსტიტუციის ცვლილებით, ისე არსებული სამართლებრივი წესრიგის განეიტრალებით, გვერდის ავლით, მისი თვითნებური, არაგონივრული განმარტებებით და ლოგიკასა და ფაქტებს მოკლებული საფუძვლების/დასკვნების გამოყენებით (როგორც კანონშემოქმედებისას, ისე შეფარდებისას) (Scheppele, 2013, 2018, Sajó, 2021]. ასეთ რეჟიმებში შენარჩუნებულია სახელმწიფოს ინსტიტუციური ფორმა, თუმცა შეცვლილია/რეორიენტირებულია მისი მიზნები, კანონი იარაღია შემბოჭველის ნაცვლად, ხოლო იდეოლოგია - ხშირად მოქნილი და ადაპტირებადი. სამართლის მიზნების და ფორმის ცვლილებას თან ახლავს კანონშემოქმედების პროცესის დეგრადაციაც, მისი დემოკრატიის მახასიათებლებისგან დაცლა (Navot 2006; Bar-Siman-Tov 2010; Ittai Bar-Siman-Tov 2011, Bar-Siman-Tov 2016; Gardbaum 2020; Roznai 2018; Kazai 2020; Kazai 2021; Kazai 2025; Drinóczi 2024; Drinóczi 2025; OSCE ODIHR, 2024; IDEA 2026; Venice Commission 2026, pp. 11-12).

"ქართული ოცნების" კანონშემოქმედება თავსდება ავტოკრატიული ლეგალიზმის ასეთ კატეგორიაში, სადაც ერთპიროვნულად და დაჩქარებული წესით მიღებული კანონების ოფიციალური დასაბუთების უკან კონკრეტული არაკეთილსინდიერი მიზნები დგას, რომლებიც სხვასასხვა ფორმით საბოლოოდ ძალაუფლების კონცენტრაციას/შენარჩუნებას ემსახურებიან.

შეჯამება

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის საქმიანობა მთლიანად ნეგატიური შინაარსის არის და განზოგადებულად თუ ვიტყვით, ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: **ერთი მხრივ**, ის მიზანში იღებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ინდივიდუალურ თავისუფლებებს, რათა *გააქროს კრიტიკული ველი* როგორც საჯარო სივრცეში, ისე სახელმწიფო ინსტიტუტებში. ამის შედეგია განადგურებული და პოლიტიკური ცხოვრებიდან განდევნილი სამოქალაქო საზოგადოება, გაუარესებული მედია გარემო, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით დაშინებული პროტესტის მონაწილეები/კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეები, გაუქმების საფრთხის ქვეშ მყოფი პოლიტიკური პარტიები, პარტიული კონტროლის ქვეშ მოქცეული სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები, პროკურატურა, საარჩევნო ადმინისტრაცია, იურიდიული დახმარების საბჭო და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც კი. **მეორე მხრივ,** ის პრეფერციულ მოპყრობას სთავაზობს მის მხარდაჭერებს, ზრდის ბენეფიტებს და მათ ზემდომის "კეთილგანწყობაზე" დამოკიდებულს ზრდის ან/და ადგენს გამონაკლისებს/ავადებს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას.

ამ ფონზე, კანონმდებელი უარს ამბობს პოზიტიურ დღის წესრიგზე - ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე უკვე დაგეგმილი პოლიტიკების განხორციელებაზე, როგორიცაა ბავშვთა და პატიმართა უფლებები, საჯარო შესყიდვები და კორუფციასთან ბრძოლა, გარემო და სამოქალაქო უსაფრთხოება, ჯანდაცვა, დაგეგმარება/მშენებლობა, განათლება, რეგიონალური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი.

კანონშემოქმედების ეს ტენდენციები საქართველოში ავტოკრატიულო ლეგალიზმის გამოვლინებაა, როდესაც ოფიციალური მიზნების, ხშირად აბსურდული დასაბუთების, უკან ძალაუფლების კონცენტრაციისა და შენარჩუნების მიზანი დგას, რაც, თავის მხრივ, პოზიტიური დღის წესრიგისთვის სივრცეს აღარ ტოვებს.